დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N 54 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

წევრები:

ლია ჯალაღონია

მზევინარ დარბაისელი ნინო კილაძე ია გაგნიძე თამარი ჩიმაკაძე ლასა სარალიძე მზია შევარდნაძე ავთანდილ კეჭაყმაძე ნათია ბრეგაძე ქეთევან ქობალია

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N 54 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204859705

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N59
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N59
საფოსტო ინდექსი	179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	54school.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi54@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	32 2 22 11 56

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023წლის 18 მაისის MES 8 23 0000557768ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	8 და 9 ივნისი 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო

			პროგრამის განხორციელების ენა	**პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N59
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N59
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N59

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2023 წლის 8 და 9 ივნისს სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N 54 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: მანანა ალიბეგაშვილი-თავმჯდომარე, ლია ჯალაღონია,მზია დარბაისელი,ნინო კილაძე,ია გაგნიძე,თამარი ჩიმაკაძე,ლასა სარალიძე,მზია შევარდნაძე,ავთანდილ კეჭაყმაძე,ნათია ბრეგაძე,ქეთევან ქობალია.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.
ვიზიტმა მშვიდ ,თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1044	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.სკოლამ დროული რეაგირება მოახდინა აღნიშნულ რჩევასთან დაკაშირებით და შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა,რომლის დამტკიცება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად 2023 წლის 8 სექტემბერს.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N		
ინდიკატორიN		
.		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

	მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორიN 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლას ყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი N.3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	1. სასურველია, რომ სკოლაში ტარდებოდეს სიმულაციები ხანძრის, მიწისძვრის და სხვა კატასტროფების, რათა გეგმა მხოლოდ თეორიულ დოკუმენტად არ დარჩეს. . 2. კარგი იქნებოდა სკოლას შეემუშავებინა მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დასაცავი ერთიანი ანტიბულინგური გეგმა, რომელიც შინაგანაწესის ნაწილი გახდებოდა და ერთერთი საუკეთესო ინსტრუმენტი იქნებოდა სკოლის უსაფრთხო გარემოდ გადასაქცევად.
ინდიკატორიN3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმი განსაზღვრული საჭირო რესურსები	საბუნებისმეტყველო ლაბორატორი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,სად

		მოსწავლეები შეძლებენ ლაბორატორიულ სამუშაოების ინდივიდუალურად ჩატარებას.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	მნიშვნელოვანია, რომ მე და საზოგადოებისა ç ჩვენი საქართველოს საგნობრ კურიკულუმებში აისახოს იმ საკითხებ ფარგლებში, რომლებიც კომპლექსურ დავალებებით არ მუშავდება, სამიზნე ცნებებ გააქტიურება, რათა გამოჩნდეს თემ ფარგლებში ყველა გრძელვადიანი მიზნებ გააქტიურება. .....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები,სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის ფარგლებში.ექსპერტთა მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი 3.1.2.3. ინდიკატორი 1.1.1.1.და ინდიკატორი 1.1.1.2 . გადავიდა სრულ შესაბამისობაში,ხოლო ინდიკატორი 1.2.1.2 კი მეტწილ შესაბამისობაში, სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ტარიღად მითითებულია 2023 წ.8 სექტემბერი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ითვალისწინებს ისეთი პიროვნების აღზრდას,რომლის უნარები და ღირებულებები დაეხმარება მას დაძლიოს ცხოვრებისეული პრობლემები და იყოს წარმატებული. უნდა აღინიშნოს,რომ სკოლის მიერ გამოგზავნილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, რომელიც დამუშავების პროცესშია, არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა თუმცა ზოგადად აღწერილი იყო ამ მისიის მისაღწევი გზები,რომელიც ეფუძნება სკოლის მიერ აღიარებულ ღირებულებებს.სკოლას მიეცა რეკომენდაცია ხედვასთან დაკავშირებით.სკოლამ გაითვალისწინა არსებული რჩევა და შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა 2 აგვისტოს დასრულებული 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა,რომელის ნაწილია სკოლის ხედვა. ***ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისია***

2. სკოლა თავისი მისიით,ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო კულტურულ სივრცეს,რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმით,რომლის შესავალ ნაწილში მითითებულია თუ როგორ გარემოში,როგორი მატერიალური და ადამიანური რესურსით შეძლებს მისიითა და ხედვით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შესავალი ნაწილი იწყება მეთოდოლოგიით,რომლის ერთ-ერთი ქვეთავი განსაზღვრას ამ პროცესს,თუ ვისი ჩართულობით და როგორ ხდება ამ დოკუმენტის მიღება.კერძოდ,სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან (დირექტორი,მასწავლებელი,მოსწავლე,მშობელი) ეს ჯგუფი ქმნის კითხვარებს სასკოლო საზოგადოების ყველა ტიპისთვის (მოსაწავლე,მასწავლებელი,მშობელი) შემდეგ ამუშავებს კითხვარს საჭიროებების დასადგენათ,შედეგებს აანალიზებს და უკუკავშირის მიღების მიზნით ასაჯაროვებს.შემდეგ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შეაქვს კორექტირება.

ინდიკატორი 1.1.1.3 სტამდარტთან შესაბამისია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მეთოდოლოგიურ ნაწილში აღწერილია პროცესი,როგორ იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც ამზადებს კითხვარს სასკოლოსაზოგადოების ყველა წევრისთვის,აანალიზებს გამოკითხვის შედეგებს,რომელსაც აზიარებს უკუკავშირის მიღების მიზნით,რის საფუძველზეც შემუშავდება სასკოლო სასწავლო გეგმა,რომლის ნაწილია მისია,ხედვა და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა კანონმდებლობის შესაბამისად თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედსაბჭოს მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4 სტანდარტთან შესაბამისია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; კერძოდ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის შედეგად შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა გამოქვეყნება სკოლის ბლოგზე . სკოლას შექმნილი აქვს ვებგვერდი, რომელიც დამუშავების პროცესშია და აღნიშნული დოკუმენტის პროექტი ამ ეტაპზე გამოქვეყნებულია.ასევე სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა სადაც გამოკრულია 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა
ინდიკატორი 1.1.1.5 სტანდარტთან შესაბამისია.

6.განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 04 აგვისტოს N85/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას მიენიჭა სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლა.
ინდიკატორი 1.1.1.6 სტანდარტთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი N 2 კითხვარი (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი)

დანართი N3 სკოლის ბლოგი

.დანართი N4 სკოლის ვებ-გვერდი

დანართი N5სკოლის საინფორმაციო დაფის ფოტო

დანართი N 6 სკოლისთვის სახელის მინიჭების ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელი ნაწილია. მეთოდოლოგიის მიხედვით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან (დირექტორი,მოსწავლე,მშობელი მასწავლებელი)რომლის მიზანია სასწავლო პროცესის რეფლექსია, სკოლის მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესის შედეგების გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით (იდეების მოედანი) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი გასაჯაროვება უკუკავშირის მიღების მიზნით და საბოლოო ვარიანტის დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ (სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს მიერ) და მიღებული დოკუმენტის გასაჯაროვებაა. ***ინდიკატორი 1.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისია***

2.სკოლის მიერ წარმოდგენილია 2020 წელს დამტკიცებული 2020-2026 ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს,მის პრემაბულაში აღნიშნულია,რომ ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანას.აქვე უნდა აღინიშნოს ,რომ 2023 -2024 სასწავლო წლისათვის კანონმდებლობის შესაბამისად სკოლა შეიმუშავებს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, გგემის შემუშავებაში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს მიერ..სკოლას მიეცა რეკომენდაცია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუსავებასთან დაკავშირებით.სკოამ დროული რეაგირება მოახდინა

აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით და შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა,რომლის დამტკიცება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად 2023 წლის 8 სექტემბერს.

ინდიკატორი 1.2.1.2. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება წინა წლის სამოქმედო გეგმის ანალიზს და სრულ შესაბამისობაშია სკოლის მიერ 2020 წელს შემუშავებულ ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმასთან და მასში განსაზღვრული ხუთივე მიმართულებით გაწერილია ამოცანები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.უნდა აღინიშნოს ,რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო გეგმის პროექტის მეთოდოლოგიურ ნაწილში აღწერილია როგორ და ვისი ჩართულობით და რა რესურსით შეიქმნება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და მასზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.1.3 სტანდარტთან შესაბამისია.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც ეფუძნება 2020 წელს მიღებულ ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმას განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები თუმც არ არის მითითებული რესურსები რომელიც განსაზღვრავს ამ ამოცენების შესრულებას.აქცე უნდა აღინიშნოს ,რომ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილია სამოქმედო გეგმის შექმნის მეთიდოლოგია,რომელშიც დეტალურად არის აღწერილი როგორ,ვისი ჩართულობით და რა რესურსით შეიქმნება, შვიდწლიან სამოქმედო გეგმის შესაბამისი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.1.4.სტანდარტთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.დანართი N 1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი N 7 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

დანართი N 8 2020-2026 სტრატეგიული განვითარების გეგმა

დანართი N 9 2022-2023 სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,რომელიც წარმოადგენს 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელ ნაწილს, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

კერძოდ სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი(მასწავლებელი, მოსწავლე, მესამე საფეხურის მშობელი).მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგის სიხშირე, (წელიწადში 2-ჯერ)კითხვარი რომლის საფუძველზეც განხორციელდება მონიტორინგი,შედეგების ანალიზის გასაჯაროვება უკუკავშირის მიღების მიზნით

და ამ შედეგების გათვალისწინება მომავალ სამოქმედო გეგმაში. ***ინდიკატორი 1.2.2.1. სტანდარტთან შესაბამისია.***

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;სკოლის მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოზე დირექტორის 2021 წლის ანგარიში ,ასევე 2021-2022 სასწავლო წლის პედსაბჭოს ოქმი,სადაც განხილულია2021-2022 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში .ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი,რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სტრატიგიული გეგმის მონიტორინგი სწავლა-სწავლების კუთხით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ამჯგუფის შეხვედრის ერთ-ერთი ოქმით. ***ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტთან შესაბამისია.***

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გასაჯაროვდება 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს,რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელ მეთოდოლოგიის ნაწილში ერთ-ერთი ქვეთავია- **სასკოლო სასწვლო გეგმის, სტარეტეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება,რომლის 8 პუნქტის საფუძველზე მოხდება შედეგების გასაჯაროვება.**

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისია.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.რის საფუძველსაც გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი,რომლის ერთ-ერთი ქვეთავია - **სასკოლო სასწვლო გეგმის, სტარეტეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება.ამ ქვეთავის 9 პუნქტის საფუძველზე მოხდება** მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით რელევანტური სტრატეგიების დაგეგმვა და განხორციელება.
ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი N10 დირექტორის სასწავლო პროცესის ანგარიში

დანართი N 11პედსაბჭოს ოქმი

დანართი N12სამეურვეო საბჭოს ოქმი

დანართი N 13 ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს რიგი დოკუმენტებისა, სადაც იქ არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია განსაზღვრული. სკოლას სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში

მკაფიოდ აქვს გაწერილი სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო სექტორები, პასუხისმგებლობები. სკოლის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები მოცემულია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლას გააჩნია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა -დაწესებულებაში გათვალისწინებული ერთეულების სქემა. სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი.*გათვალისწინებით*

ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, წახალისებისა და ადმინისტრირების, პერსონალის მართვის განსაზღვრული პოლიტიკა(სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი), საგანმანათლებლო პროცესების მართვის, მონიტორინგის, შეფასების, დაგეგმვის პროცესები გადანაწილებულია პასუხისმგებელ პირებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-აწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი -ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის ფუნქციონირებაც დასტურდება გაკვეთილებზე დასწრების ოქმებით, ანალიზებით, შეფასებებითა და სხვა საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის განსავითარებლად ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულებებით(ინტერვიუები, გამოკითხვები, პროექტები, სოცქსელების მასალა და სხვ) საკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ განხილული და დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო სუბიექტების საგამანათლებლო პროცესებში ჩართვის, მათი ფუნქციების, უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დაანართი N7 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

დანართი N8 2020-2026 სტრატეგიული განვიტარების გეგმა

დანართი N14 სკოლის სტრუქტურა

დაბართი N15 ხელშეკრულებები

დანართი N16 მრჩეველთა საბჭოს ოქმი

დანართი N21 წახალისების ბრძანება

დანართი N24 მასწავლებლის სიგელი

დანართი N25 კათედრის კითხვარი

დანართი N27 კათედრის ჟურნალი

დანართი N28 საათების გადანაწილების ბრძანება

დანართი N115-დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პერსონალის მართვის წესები, მათი სამუშაო აღწერილობები, უფლებები და მოვალეობები, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების ნიმუშებით. ხელშეკრულებები შედგენილია ყველა მოქმედი ნორმატიულ აქტთან შესაბამისად(შრომის კანონმდებლობა, კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სხვა) სკოლა ხელმძღვანელობს სპეციალურად შემუშავებული დოკუმენტით „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომლის პროექტი დირექტორის მიერ გატანილია სამეურვეო საბჭოზე განსახილველად და დამტკიცებულია

კანონმდებლობის შესაბამისად(აღნიშნული დოკუმენტი სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა, თუმცა არ ჰქონდა წინასწარ გადმოგზავნილი) ადამიანური რესურსის მართვისას სკოლის მთავარი მიზანს პედაგოგთა საქმინაობის ისეთ დაგეგმვა და წარმართვა წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნების მიღწევას. დაწესებულებაში კანონმდებლობის საფუძველზე ხდება რესურსების მართვა ყველა მიმართულებით: პედაგოგთა/თანამშრომელთა კონკურსის გზით მიღება, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, საათების განაწილება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ. შესაბამისად, სკოლა ადამიანურ რესურსებს მართვას ქვეყნის კანონმდებლობისა და შიდასასკოლო ნორმატიული აქტების(სკოლის შინაგანაწესი, დირექტორის ბრძანებები, სკოლის წესდება, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები, სპეცდებულებები და სხვ.) სრული *ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება.*

2. პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკე დოკუმენტად არ იძებნება, მაგრამ ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომელშიც პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებებზეა საუბარი. ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების ტექსტში. მაგ. შინაგანაწესის მე-4 მუხლი ეთმობა სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებასა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს. დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომას და პასუხისმგებლობის სახეებზე საკმაოდ დაწვრილებითაა საუბარი შინაგანაწესის მე-13 მუხლში, ხოლო დასაქმებულის წახალისების სახეებსა და გამოყენების წესზე, დისციპლინურ დევნაზე მე-10 და მე-12 მუხლებში.

ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკის და პროცედურების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სკოლას აქვს რამდენიმე საინფორმაციო დაფა N5, ფეისბუქგვერდი ინფორმაციის დროულად მისაწოდებლად. არის დაწყებული

მუშაობა ვებგვერდის შესაქმნელად რაც ხელს უწყობს პერსონალის შერჩევის, მართვის, მოზიდვის პროცესების სწორად ჩატარებას. სკოლა რომ პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი და ადგილზე ნანახი დოკუმენტებით. ადმინისტრაცია პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, საკონკურსო პირობებს კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacher.jobs.ge-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას -სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რომელიც სკოლას განთავსებული აქვს პირველი და მეორე სართულების დერაფნის თვალსაჩინო ადგილზე. დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. შიდა და ღია კონკურსების ატარებს ეტაპებად: ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება; სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე. სკოლაში დაცულია სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლებშიც დოკუმენტები წარმოდგენილია კანონმდებლობის დაცვით, ხელშეკრულებები, სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ ბრძანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები.ამ უკანასკნელებში დეტალურადაა ასახული გამოცხადებული კონკურსის ყველა ეტაპის მიმდინარეობა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისობით. თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები. უნდა აღინიშნოს, რომ პირად საქმეებში(არც პედაგოგების და არც ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის) არ აღმოჩნდა ცნობა „უფლების ჩამორთვევის შესახებ“, რაც სკოლას მიეთითა. სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინა და შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა აღნიშნული ცნობები

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საკუთარ პერსონალთან. სკოლაში დასაქმებულია 51 მასწავლებელი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, სპეც. პედაგოგები, სსსმ მოსწავლის ასისტენტი, დამლაგებლები და დარაჯები.
პერსონალის დანიშვნის აქტები შესაბამის საკადრო ბრძანებების ჟურნალშია გატარებული. პედაგოგებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები აღრიცხულია და ინახება კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, რისი დასტურიც არის სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, ურთიერთდასწრებები, განხორციელებული პროექტები, არაფორმალური ღონისძიებები და ა.შ. სკოლის აქტიური თვითმართველობა სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს.***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტს შეესაბამება.***

6. სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგთა დაჯილდოებისა და წახალისების მტკიცებულებები.

სკოლაში საერთო ბრძანებების ჟურნალის შესწავლისას დამხმარე პერსონალისთვის პრემიის დანიშვნის ბრძანებები იქნა მოძიებული.

სკოლას აქვს სოციალურ ქსელ „Facebook”-ზე გვერდი - „ სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლა“, რომელსაც 3000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს. აქ მუდმივად შუქდება ინფორმაცია სკოლის წარმატებული პროექტების, ღონისძიებების, მოსწავლეთა წარმატებების, პედაგოგების მიღწევების შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართები N5 სკოლის საინფორმაციო დაფა

დანართი N15 ხელშეკრულებები

დანართი N17 პირადი საქმეები

დანართი N 18 საკონკურსო კომისია

დანართი N21-წახალისების ბრძანება

დანართი N22-კონფერენცია

დანართი N23-minecraft-ის ინსტრუქცია

დანართი N24-მასწავლებლის სიგელი

დანართი N26 დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი

დანართი N27-კათედრის ჟურნალი

დანართი N28საათების გადანაწილების ბრძანება

დანართი N29-პედსაბჭოს ოქმი

დანართი N33 სასკოლო პროექტები

დანართი N34 სკოლის შინაგანაწესი

დანართი N115-დაწყებითი საფეხურის განმავიტარებელი შეფასებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების მთავარი დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია, მაგრამ ვიზიტის დროს ადგილზე წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც საუბარია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, იმაზე რომ სკოლის მიერ ხელშეწყობილია მასწავლებელთა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, პროექტებში ჩართვა, საგანამანათლებლო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში. სკოლას დანერგილი აქვს მრავალმხრივი ობიექტური შეფასების სისტემა: მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება. წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით დირექტორისთვის, მასწავლებლისა და მოსწავლისთვის და ასევე მშობლისთვის განკუთვნილი კითხვარები, რომელიც სკოლის პერსონალის შეფასებას ეხება.

   სკოლის მასწავლებლები აწარმოებენ თვითრეფლექსიას. თვითრეფლექსიისთვის მასწავლებელი ხელმძღვანელობს მასწავლებელის პედაგოგიური პრაქტიკის ჩარჩოთი, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობა.

„სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის “ N4 სტრატეგიის (სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება) ერთერთი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება(N7).

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი აქვს „ტრენინგები მომდევნო წლისთვის“,წლიურ სამოქმედო გეგმაში კი შეტანილი აქვს ამოცანა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ და შემდეგი საქმიანობები:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის ხელშეწყობა
- ზოგადი განათლების რეფორმის (ახალი სკოლის მოდელის) ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წელს საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა
- შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შექმნა/წარმოების თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში)
- კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესი პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება
- ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა მაძიებელ მასწავლებლებთან
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება.

წარმოდგენილი და ადგილზე მოძიებული დოკუმენტებიდან ირკვევა რომ დაწესებულება ასრულებს გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებს. სკოლას გამოცდილების გაზიარების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელთან.სკოლის პედაგოგები ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში. *აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.*

2. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის განვითარების ჯგუფი“, რომელიც ურთიერთდასწრების საფუძველზე საზღვრავს პედაგოგის მხრიდან გასავითარებელ უნარებს, ეს კი ჯგუფის მიერ გაცემულ უკუკავშირებში აისახება. „ადამინაური რესურსების მართვის დოკუმენტის“ მე-9 მუხლში პერსონალის განვითარებისთვის საჭირო რამდენიმე ეტაპია გამოყოფილი:

ა. პროფ. განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება;

ბ. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ღონისძებების დაგეგმვა;

გ. შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;

დ. მასწავლებელთა პროფ. უნარებისა და ცოდნის შეფასება. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.***

3. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. ამისთვის, ერთი მხრივ, იკვლევს მათ საჭიროებებს („ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი“ , მუხლი 9), მეორე მხრივ, მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს აკეთებს (კათედრის ოქმები). ამავდროულად იკვლევს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს (ელ. გამოკითხვები).

გარდა ამისა სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.***

4. სკოლა ზრუნავს თანამშრომლის ინტეგრაციაზე ახალ სამუშაო გარემოსთან. საადაპტაციო პერიოდად 2 კვირა აქვთ გამოყოფილი. დირექტორი განსაზღვრავს პირს (ზეპირსიტყვიერად და არა ბრძანებით), რომელიც მეგზურობას უწევს: აცნობს დასაქმებულს სკოლის ისტორიას, ტრადიციებს, სასკოლო დოკუმენტაციას, სასკოლო შეფასებას, ეხმარება მას კლასთან და სასკოლო საზოგადოებასთან ინტეგრაციაში. იტეგრაციაში სკოლას ეხმარება სკოლის სამასწავლებლო, სასკოლო კათედრებისთვის გამოყოფილი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები.***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.***

5. სკოლის კათედრები ურთიერთთანამშრომლობით არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ნერგავენ. კათედრის წევრების ინიციატივები პროექტების სახით კათედრების სამოქმედო გეგმაშიცაა მოცემული. ინტერვიუირების დროს დაასახელეს არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ

განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან დიდ მხარდაჭერაზე მიუთითებს. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N7-ბრძანება სამუსაო ჯგუფის შექმნის შესახებ

დანართი N8 -2020-2026 სტრატეგიული განვიტარების გეგმა

დანართი N25 -კათედრის კითხვარი

დანართიN27-კათედრის ჟურნალი

დანართი N30 -ურთიერთდასწრების უკუკავშირი

დანართი N32 -ანალიზის ფორმა

დანართიN115-დაწყებითი საფეხურის განმავიტარებელი შეფასება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტურად გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების ვალდებულება(სსგ) თუმცა არ აღმოაჩნდათ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები კვლევები, ინტერვიუები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები და სხვა. რომელიც არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და საფუძვლად უდევს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას. ამისთვის სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. მაგალითად შეიძლება გამოდგეს მშობლების, მოსწავლეების, მასწვლებლების ინტევიუები საგანმანათლებლო პროცესების უკეთ დაგეგმვის მიზნით.*აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტს შეესაბამება.*

2. სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. *აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.*

3. სკოლის შინაგანაწესში (მუხლი 22) წარმოდგენილია გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები. სკოლას არ აქვს რაიმე სახის ცალკე დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომლის შეხვედრები დაოქმებულია. საერთო ბრძანებების ჟურნალში სკოლას გატარებული აქვს არაერთი მოსწავლისთვის თუ თანამშრომლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელის ბრძანება.*აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.*

4. სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა კერძოდ, საუბარია მათ უფლებებზე, ვალდებულებებზე, გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტორია. სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმები, კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი დირექტორის ბრძანებები, რითაც დასტურდება რომ ორგანიზაციაში მოქმედებს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა და პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. თუმცა შინაგანაწესში ცალკე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება/მოვალეობები მიმოხილული არ არის(მუხლი 19.) „მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესში“ იკვეთება მშობლის როლი. მაგ.: მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესში ერთ-ერთ პუნქტად დასახელებულია, რომ მოსწავლის დისციპლინური სახდელის დადებამდე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. სკოლას აქვს შემუშავებული მშობლებთან კომუნიკაციის წესის ელემენტები- მაგ ყოველი პარასკევი გაკვეთილების შემდგომ და მოსწავლის პირადი ინფორმაციის მიღების მიზნით ინდ. შეხვედრა დამრიგებელთან/დირექციასთან. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართები N1 -2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართები N7- ბრძანება სამუსაო ჯგუფის სექმნის შესახებ

დანართები N34 -სკოლის შინაგანაწესი

დანართები N36-გასაჩივრების პროცედურა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია" სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისი N54 საჯარო სკოლის" პედაგოგთა ფბ-გ

ვერდი, მესენჯერი, ვებგვერდი, საინფორმაციო დაფა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა Eflow, TEAMS-ის პლატფორმა თავისი ელექტრონული ფოსტებით. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.3.2.1.სტანდარტს შეესაბამება.***

2. სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისი N54 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი,მრჩეველთა საბჭო, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე სკოლაში ვიზიტის დროს მოძიებული მასალებით(სამეურვეო საბჭოს ოქმები, პედსაბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმები და სხვ). სკოლაში აპრობირებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროში - ბიუჯეტირება, დაგეგმვა, სწავლა-სწავლება და სხვ. მიღებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პრაქტიკა(ინტერვიუები, ანკეტირება) მშობელთა, მასწავლებელთა , მოსწავლეთა გამოკითხვის დამადასტურებელი სქრინები წარმოდგენილია სკოლების მიერ მაგრამ, მაგრამ არ ჩანს რა დასკვნა იქნა გამოტანილი ჩატარებული კვლევების შედეგად და როგორ მოხდა გამოკითხულთა აზრების გათვალისწინება. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.3.2.2. სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N2 -კითხვარი (მასწავლებელი,მოსწავლე,მშობელი)

დანართი N11-პედსაბჭოს ოქმი

დანართ N12-სამეურვეო საბჭოს ოქმი

დანართი N13-ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი

დანართიN26 -დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი

დანართიN37-მშობელთა გამოკითხვის ფორმა

დანართი N38-მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, აქვს შემუშავებული ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რითაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (კერძოდ, სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა,), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ასევე გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში სამივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, პირველ სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი სრული აღჭურვილობით.*

სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლას ასევე ჰყავს მანდატურის სამსახურის წარმომადგენლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები თავის საქმიანობას წარმართავენ მანდატურის სამსახურის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო, სკოლას შემუშავებული აქვს უცხო პირთა გადაადგილების წესი. სკოლას აქვს სრულადს აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს ექიმი. ჰყავს 1 ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტები. ფუნქციონირებს რესურსოთახი.

საგანგებო მართვის გეგმა უზრუნველყოფს შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას. გეგმის მიზანია:

- *ბუნებრივი ხასიათისა და ადამიანის ფაქტორით გამოწვეული საგანგებო*

სიტუაციებისაგან სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;

- *სკოლის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირების,*

მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და

აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

- *საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;*
- *მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე სკოლის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;*
- *შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.*

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა

სკოლამ 2023 წლის 29 მაისს წერილით მიმართა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის ტექნიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით (დოკუმენტი N 1004086123)

.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.1.სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს სხდომებს(დასტურდება სხდომის ოქმებით). გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სპეციალური ინსტრუქციები. სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის მანდატურები, სკოლას აქვს შემუშავებული სკოლის ტერიტორიაზე ყოფნის „საშვის“, „მოსწავლის გაკვეთილიდან დათხოვნის“ ფორმები შემუშავებული. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი(მუხლი 9), თანამშრომლების ხელშეკრულებები(მუხლი 3). ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.2. სტანდარტთან შესაბამისია.***

3. სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეშესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს. პირველ რიგში, მანდატურის სამსახური უნდა დავასახელოთ, რომლის ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით ჩატარდა ტრეინინგები ბულინგისა და კიბერბულინგის თემაზე. თითოეულ მოსწავლეში გავზარდოთ პიროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ანტიბულინგური გეგმა, რომელიც მოზარდთა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტორი იქნებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დასაცავად.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.3. სტანდარტთან შესაბამისია.

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვას ინსტრუქციები სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით და გამოყოფილი ჰყავს მასზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მენეჯერი. დოკუმენტში გაწერილია ვალდებულებები: სასკოლო სივრცის დათვალიერება და სკოლის მოვლა-პატრონობასთან

დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება; დაზიანებული ნივთების შეკეთება; დირექტორის ინფორმირება; სახსრების არქონის გამო გადავადებული საქმიანობების ნუსხის შექმნა და ა.შ.

*განსაზღვრულია გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.21.4. სტანდარტთან შესაბამისია.***

5. *სკოლის მიერ წარმოდგენილია დამტკიცებული სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი. ასევე სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით - პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, დადგენილი ნორმებით. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.5. სტანდაირტთან შესაბამისია.***

6. *სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი საქმის წარმოებისწესი, სადაც გაწერილია ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები და პროცედურები, ინფორმაციისა და დოკუმენტების არქივის შექმნა. სკოლას აქვს შექმნილი ვებგვერდი, რომელიც ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია. პორტალის გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემა დაიწყება 30 ივნისიდან.*

7. სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“, (შინაგანაწესი მუხლი 13,პუნქტი), სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სხვ) რომლის მიხედვითაც სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები:

- *სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;*
- *წესრიგისა და სკოლის ქონების დაცვა;*
- *საგანგებო შტაბი;*

- *მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებლის პროფ. ეთიკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი.*

*პერიოდულად საგანგებო შტაბის წევრები ფუნქციონალური მოვალეობების მიხედვით აფასებენ მიმდინარე პროცესებს და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნებით ცვლილებებს ახორციელებენ.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.6 სტანდარტთან შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N15-ხელშეკრულებები

დანართი N34-სკოლის შენაგანაწესი

დანართი N39-უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრზანება

დანართი N 40 -სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

დანართიN41-საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დანართი N42-კამერების ცეცხლმაქრების ფოტოები

დანართი N43 -კლინიკის ვაუჩერი

დანართიN44-საშვი

დანართიN45-განთავისუფლების ფორმა

დანართი N46-რეფერირება

დანართიN47-დამლაგებელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება

დანართი N48-საინფორმაციოს სქრინი

დანართი N49-პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის წესი

..

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ავტორიზებას გადის 1044 მოსწავლეზე. მას 2006 წლის 17 იანვრიდან სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შენობა ნაგებობები საერთო ფართით 2668 კვ.მ. N1 , N3, N4 , N5, N6, N7 და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. შენობის 51 კვ. მ(49 კვ. მ სარდაფი და 2კვ.მ შენობა) და მიწის ფართის 62 კვ. მ. სკოლას იჯარით აქვს გადაცემული შპს „ვერნისაჟისთვის, შენობის 10 კვ. მ მოიჯარე ნინო სხილაძისთვის. *აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.1. სტანდარტს შეესაბამება.*
2. სკოლის შენობა არის 3 სართულიანი, აქვს ნახევარსარდაფი, რომელშიც განთავსებულია სპორტული დარბაზი. სარდაფის დანარჩენი ნაწილი საწყობადაა გამოყენებული. პირველ სართულზეა საკლასო ოთახები, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს), სკოლის ექიმის კაბინეტი და 2 სველი წერტილი, მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები, 2 სველი წერტილი, მესამე სართულზე განტავსებულია საკლასო ოთახები, სტემის საგნების ლაბორატორია(ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ერთ ოთახშია განთავსებულია) ორი სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რესურცენტრიდან იღებს ჟურნალ „მასწავლებელს“ რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოცემულია ელექტრონული კატალოგიც, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს თავადაც იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებული აქვს სკოლის წიგნადი ფონდი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში შექმნმილია მყუდრო გარემო, რომ

მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიებაც და გაცნობაც. სკოლის ბუღალტერთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები
სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია შემდეგი ინტენსივობით:

- უძრავი ქონების - სამ წელიწადში ერთხელ;
- ძირითადი აქტივების, ფასეულობების - ყოველწლიურად;
- მზა პროდუქციის, სტრატეგიული მარაგების, დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების, სხვა დანაჩენი მატერიალური მარაგების - წელიწადში ერთხელ;
- ფულადი ანგარიშების და ფულადი დოკუმენტების კვარტალში ერთხელ;
- საბიბლიოთეკო ფონდის ხუთ წელიწადში ერთხელ;

სკოლას ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შესახებ ბრძანება აქვს გამოცემული, რომლის საფუძვლად გეგმიური შემოწმებაა მითითებული.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 1044 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას აქვს ეზოში არასტანდარტული მცირე ზომის სპორტული მოედანი. სკოლას აქვს სარეკრიაციო ზონა არაფორმალური განათლების კუთხით

სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად მხოლოდ სკოლის დიდი დერეფანი. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი.**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.5.1.2.სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლაში შემოსასვლელ კიბეებთან დამაგრებულია პანდუსი, ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.5.1.3 სტანდარტს შეესაბამება.**
4. სკოლას აქვს ეზო სადაც არის გამოყოფილი სარეკრეაციო სივრცე მწვანე ნარგავებითა და სკამებით, ასევე სასკოლო პროექტის ფარგლებში სკოლის ეზოში განთავსებულია პოლიმერებისა და და მინისგან დამზადებული ნივთების ჩასაყრელი სელექტორები, რომლითაც სარგებლობა სკოლის ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობასაც შეუძლია. რაც შეეხება სკოლის უკანა ეზოს, რომელსაც დაწესებულება სპორტულ მოედნად იყენებს, სჭირდება დამცავი სტრუქტურის მოწყობა და ხელოვნურსაფარიანი ღია ტიპის სპორტულ მოედნადა გადაკეთება, ეს სკოლას ახალ სოციო-კულტურულ სივრცეს გაუჩენს. სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობებისთვის სკოლა იყენებს სპორტულ დარბაზს, საკლასო ოტახებს და სკოლის დერეფნებს, სადაც დგას მუსიკალური ინსტრუმენტები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტს შეესაბამება.**
5. სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები: ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;

ბ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები);
გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
დ) ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ბუნებრივი გარემო და სხვ.

მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და ა.შ
ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ
საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ..
მუსიკა: პიანინოები, კომპაქტ დისკები, ქართული ხალხური საკრავების პლაკატები და ა.შ
სპორტი: ბურთები, ჭადრაკი დაფები, ჰულაჰუპები და სხვა.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N50-საჯარო რეესტრის ამონაწერი

დანართიN51-შენობა -ნაგებობის სქემა

დანართი N52-სკოლის ფოტოები

დანართი N53-ბიბლიოთეკის დებულება

დანართი N54-ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

დანართი N55-სკოლის რეაბილიტაციის ხელშეკრულება

დანარტი N56-სახელმძღვანელოების ჩაბარების აქტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის სოფიკო ჭიაურელის სახელობის N54 საჯარო სკოლის ადგილზე დათვალიერების დროს დადგინდა,რომ სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესის სრულფასოვან ფუნქციონირებას.ყველა კათედრა, სამასწავლებლო და რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. შესაბამისად, თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით გაკვეთილი ჩაატროს და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავზოს მოსწავლეებს, შესრულდეს სხვადასხვა აქტივობა, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიძიონ. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მარტივად მიიღოს და გაავრცელოს სრულყოფილი ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში.სხვა.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.1.1. სტანდარტს შეესაბამება.**
2. სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესები დებულების სახით, რომელიც განთავსებულია სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხელმისაწვდომ ადგილზე. სკოლის პედაგოგებმა, დირექციამ, ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მათთვის ხელმისაწვდომია. კერძოდ, ლეპტოპები გადანაწილებულია მასწავლებლებზე, ყველა კათედრა, სამასწავლებლო და რესურსოთახი, ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. სკოლის კუთვნილებაა კომპიუტერული ტექნიკა, მულტიფუნქციური პრინტერები სკანირებისა და კოპირების

საშუალებები. ეს ტექნიკა განთავსებულია სამასწავლებლოში, საგნობრივ კათედრებზე, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახსა და ადმინისტრაციის ყველა ოთახში. ამ რესურსს თანაბრად იყენებს როგორც თანამშრომელი, ასევე მოსწავლე. სკოლას ასევე ემსახურება IT სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურულ გამართულობაზე..**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N53-ბიბლიოთეკის დებულება
დანართი N57-ლაბორატორიის დებულება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).
   სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.
   საქმისწარმეობის წესის თანახმად, სკოლამ შემოსულ დოკუმენტაციაში უნდა გაატაროს ელექტრონულად შემოსული კორესპოდენციაც, თუმცა მსგავსი რამ ვერ მოიძებნა. სკოლას მიეცა რჩევა, შესაამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების წესი და მათი დოკუმენტბრუნვა.
   სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.
   მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაცია.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის გამოიყენებს email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი და რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტს შეესაბამება,**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N58-რეგისტრაციის ჟურნალი
დანართი N59-eflow

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 საჯარო სკოლას, ამ ეტაპზე აქვს ვებ-გვერდი, რომელიც ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია. პორტალის გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემა დაიწყება 30 ივნისიდან.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2. სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის ფბ გვერდს(ჰყავს 3000 -ზე მეტი გამომწერი) და თიმსის პლატფორმას. *პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით (წერილის ნომრის მითითებით, კონკრეტული ორგანიზაციის დასახელებით).***აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება.**

*3. სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის N54 აქვს ელ. ჟურნალი, ელ. პლატფორმა - TEAMS და სოციალური გვერდები. დირექციის განმართებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს გამოიკითხეს დირექცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს და ამავე გზით გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას.***აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.3. სტანდარტს შეესაბამება.**

4. ამ ეტაპზე სკოლის ვებ.გვერდი დამუშავების პროცესშია, თუმცა მასში განთავსებული ინფორმაცია არის ქართულ ენაზე. აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.4. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. ამ ეტაპზე საჯარო სკოლის ვებ.გვერდი დამუშავების პროცესშია და როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა სექტემბერში მზად იქნება.

*დასტურდება (მტკიცებულებები):***აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N4-სკოლის ვებ-გვერდი
დანართი N60-forms-ის კითხვარი
დანართი N61-ინფორმაციის გაზიარება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლას გააჩნია შემოსავალი ძირითადად ვაუჩერული დაფინანსებიდან, ასევე მას აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სავარაუდო შემოსავლები. მაგალითად 2022 წლის ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 899 215.00 ლარით. იჯარიდან შემოსული და წრეების ფუნქციონირების შედეგად შემოსულმა თანხამ წლის განმავლობაში ჯამურად შეადგინა 48 880.00 ლარი. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა, რომელიც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი(ოქმი წარმოდგენილია), სკოლის მიერ ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა, წლიური და კვარტალური ბალანსები. სკოლას აქვს ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის კომპონენტები - სასკოლო სუბიექტების ანკეტირება, მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით, თუმცა კვლევის ანალიზი ჩატარების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია არ დევს. სკოლას აქვს SWOT ანალიზი ჩატარებული, წარმოდგენილ მასალებში არის დირექტორის ანგარიში გეგმის შესრულებაზე - სამეურვეო საბჭოს განრიგიდან დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. ადგილზე მოვიძიეთ იმ სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებზეც მოხდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის რესურსების

ნაწილის შეთანხმება და და დირექტორის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშგება. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი**

3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N2- კითხვარი (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი)
დანართიN62 -კვლევის ანალიზი
დანართიN63-სამსახურებრივი ბარათი
დანართი N64 -ბიუჯეტის დამტკიცება
დანართი N65 -შესყიდვების გეგმა
დანართი N 66-ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ
დანართი N67-სამეურვეო საბჭოს გეგმა
დანართი N68-SWOT ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;კერძოდ სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოებისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვას. მოწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით, თვითმართველობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალით დანახული პრობლემების გათვალისწინება და მათი მაქსიმალური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოსწავლეთა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას, გამოვლენილი ძალადობის შესახებ მყისიერად მიეწოდება ინფორმაცია სკოლის მანდატურს, რომელიც ახორციელებს რეფერირების პროცედურებს. პესონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხიმგებელი პირი, ინფორმაციის გაცემა ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე. სკოლაში მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმაც და 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი მოიცავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციებს.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; კერძოდ სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. ბუკლეტების და პოსტერების სახით, მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბროშურები, 112-ის შესახებ ინფორმაცია.სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის,მანდატურის,სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესინჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშოლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორამაციას. სადამრიგებლო ჯგუფები ასევე შექმნილია თიმსშიც, სადაც ტარდება მშობელთა კრებები და აქტიურად ხდება მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შინაგანაწესის პუნქტების განხილვა.სკოლის ყველ მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლას აქვს პერსონალურად დამზადებული საინფორმაციო ბროშურები(მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ), რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც

უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას. სკოლას გააჩნია ვებ-გვერდი,რომელიც იწყებს აქტიურ ფუნქციონირებას და მასზე განთავსდება სკოლის შინაგანაწესი.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის,ისე მშობლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები. თუ მოსწავლე სარგებლობს რაიმე არასავალდებულო მომსახურეობით ასევე მის მშობელთან/წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება,რომელიც მოიცავს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეს, პირობებს, პროგრამას და მისი სპეციფიკას. მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწდომია. სკოლის მისიას წარმოადგენს კულტურული, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება, რომლის ხელშესაწყობადაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სერვისებს. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს ჭადრაკის, მუსიკის, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის წრეები. აღნიშნული წრეები დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლეებში და მათი უმრავლესობა აქტიურადაა ჩართული პრაქტიკულ მეცადინეობებში. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების სახეები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის, დამატებითი სერვისების შესახებ, სკოლა გაარგძელებს კმაყოფილების კითხვარების შევსების პრაქტიკას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვისა და უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი N4 სკოლის ვებ-გვერდი

დანართი N5 სკოლის საინფორმაციო დაფა

დანართი N 34 სკოლის შინაგანაწესი

დანართი N 35 სკოლის საინფორმაციო ბუკლეტი.

დანართი N38 მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი

დანართი N69 ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის

დანართი N70 მანდატურის ოქმი

დანართი N 71 მშობლის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროვებაზე

 დანართი N 73 პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება

დანართი N74 სადამრიგებლო კრების ოქმი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტის წესის პროექტი,რომელის ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას და რომელიც სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ვიზიტის დროს.ამ წესის შესაბამისად სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე, ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობების გათვალისწინებით. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს ინდ გეგმების შემუშავების წესი და სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს.კერძოდ, თუ დადგინდა, რომ მოსწავლეს უჭირს საგაკვეთილო პროცესში ჩართვა და ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, მშობლის წერილობითი თანხმობით სკოლა მიმართავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტს, რის შედეგადაც იქმნება მოსწავლისთვის პირველადი სამოქმედო მართვის გეგმა წერილობითი

რეკომენდაციებით, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება მოსწავლესთან მუშაობა. თუ გაცემული რეკომენდაციები არ იქნა საკმარისი, სკოლა მშობლის თანხმობით და განცხადებით მიმართავს სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს, აღნიშნული მოსწავლის შეფასების მიზნით. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება მოსწავლის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი დასკვნა არ იქნება, მშობელს ეძლევა რეკომენდაცია მიმართოს განცხადებით მანდატურის სამსახურს რეფერირების მიზნით და ხდება გადამისამართება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალურ მომსახურების ცენტრთან. სკოლის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი და მასზე რეაგირების მექანიზმი. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო პროცედურას. სკოლის ვებ-გვერდის აქტიურად ამოქმედების აღნიშნული წესი გაზიარდება ვებ-გვერდზე.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო რეგულაციას. მოცემული პროცედურების დაცვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. იგი პასუხისმგებელია პროცედურების შეუფერხებლად წარმართვაზე. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწდომია.აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს,რომელიც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე,ფეისბუქგვერდზე და ასევე მიეწოდება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დამრიგებლების მიერ,როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში,ისე საინფორმაციო ბუკლეტების სახით. სკოლის მისიას წარმოადგენს კულტურული, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება, რომლის ხელშესაწყობადაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სერვისებს. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს ჭადრაკის, მუსიკის, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის წრეები. აღნიშნული წრეები დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლეებში და მათი უმრავლესობა აქტიურადაა ჩართული პრაქტიკულ მეცადინეობებში. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი სერვისების შეთავაზება დაეფუძნება გამოკითხვის შედეგების ანალიზს და საჭიროების გამოვლენას. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. მოცემული სერვისების შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე,განახლების პროცესი ეფუძნება მშობელთა,მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს. სერვისების შესახებ ინფორმაცია განცხადებების სახით გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.4. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N79 მოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება

დანართი N80 მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება

დანართი N81 უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა

დანართი N82 პედსაბჭოს ოქმი მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ

დანართი N 83 ელექტრონული ჟურნალის სქრინი

დანართი N 84 დირექტორის ბრძანება წრის შექმნის შესახებ

დანართი N 86 მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

დანართი N 87 პირველადი მართვის რეკომენდაციები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი და აქტიურად ხდება ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღეები და ურიგდებათ სამახსოვრო საჩუქრები. ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ ახალი მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები და ფსიქოლოგი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოსათან ადაპტაცაციის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებლები უკავშირდებიან სსსმ მოსწავლესთან მომუშავე ქცევის თერაპევტებს და იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რა უნდა გაითვალისწინონ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვის ადაპტაციას სასკოლო გარემოში.სკოლა გეგმავს სსსმ მოსწავლეების მოწვევას მშობლებთან ერთად სასწავლო წლის დაწყებამდე, სასკოლო გარემოსა და მასწავლებლის გაცნობის მიზნით. სკოლამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული“

მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,ადაპტაციის,მობილობის, სტატუსის შეჩერების“ დოკუმენტის პროექტი,რომელიც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით შეთანხმებით, დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ნებისმიერ მოსწავლეს, ხელს უწყობს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცეს. მათ მიერ შემუშავებული „მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,ადაპტაციის,მობილობის, სტატუსის შეჩერების'' დოკუმენტის შესაბამასად. დამრიგებლის მიერ დადგინდება მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები და განხორციელდება ამ საჭიროებების შესაბამისიაქტივობები. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი რესურს ოთახი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სსსმ მოსწავლესათვის. სპეციალური საჭიროების მქონე ყველა მოსწავლესათვის არსებობს პანდუსი და მორგებული სანიტარული კვანძი. სკოლას ჰყავს მხარდაჭერის სპეციალისტები: სპეც მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ასისტენტები, მეტყველების თერაპევტი. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.**

3. მოსწავლე სკოლიდან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. საბაზო საფეხურზე მე-8 -11 კლასებში კვირაში ერთი დღე სასწავლო პროცესი ხორციელდება დისტანციურად თიმსში, მე-12 კლასში კვირაში 2-ჯერ, საშინაო დავალებების კომპონენტი სრულად ხორციელდება დისტანციურად თიმსში, სადაც მოსწავლეებს აქვთ საშუალება თითოეულ შესრულებულ დავალებაზე მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ასაკობრივი და გაცდენების გამო ექსტერნის გამოცდასთან დაკავშირებით. გამოცდების წინ მათ

პედაგოგები უწევენ სათანადო კონსულტაციას. სსსმ მოსწავლეებსითვის თიმსში შექმნილია ინდივიდუალური ჯგუფები, სადაც ასევე პედაგოგები დამატებით უტარებენ გაკვეთილებს. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ პირად შედეგებზე წვდომის საშუალება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. რამდენიმე საგანში დანერგილია თვითშეფასების კითხვარების შევსება, რაც მოსწავლეს აძლევს საკუთარ მიღწევებზე დაკვირვების საშუალებას. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.**

4. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ასაკობრივ და გაცდენების გამო ექსტერნის გამოცდასთან დაკავშირებით. გამოცდების წინ მათ პედაგოგები უწევენ სათანადო კონსულტაციას. მოსწავლეს მშობელს შეუძლია განცხადებით მიმართოს სკოლას სემესტრული ნიშნის ასამაღლებლად კანონის შესაბამის ვადებში. მოსწავლეს გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კომისიის ბრძანების საფუძველზე ნიშანი აუმაღლდება.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4.სტანდარტს შეესაბამება.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი, არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მხარდაჭერას.რაც დასტურდება 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში სკოლაში განხორციელებული პროექტებისსაფუძველზე.კერძოდ : „კულტურული მრავალფეროვნება“, „პუბერტული ასაკი და ნაადრევი ქორწინება და ფინასნური წიგნიერება, რომლებშიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები. პერიოდულად სკოლა მასპინძლობს სხვადასხვა მიმართულების ღონისძიებებსაც , მაგალითად მიმდინარე

სასწავლო წელს სკოლას ესტუმრა ორგანიზაცია ,,Georgia Liberty" რომელმაც მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ძალადობის შესახებ. სკოლა ჩართული იყო „ New Vision" უნივერსიტეტის სასკოლო ოლიმპიადაში, ჩვენმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" ნომინაციაში. 2019 წლის შემოდგომაზე სკოლამ უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას სახელწოდებით "New Trends in Education", რომლის ფარგლებშიც მომხსენებლებმა ისაუბრეს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებსა და განათლების სისტემის მთავარ გამოწვევებზე. ხაზი გაუსვეს იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა კულტურული, მრავალმხრივ განვითარებული, თანამედროვე უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნების აღსაზრდელად. სასკოლო საზოგადოების აქტიურ ნაწილს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივის მხარდაჭერა, ამ აქტივობის ფარგლებში მოსწავლეები ესტუმრნენ იაშვილის ბავშვთა საავადმყოფოს და სკოლის სახელით საახალწლო საჩუქრები გადასცეს კლინიკაში მყოფ ბავშვებს. ასევე, თვითმართველობის ინიციატივის ფარგლებში გამწვანდა სასკოლო ბაღი. ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც ამ ეტაპზე ჩართულია USAID -ის საგანმანათლებლო პროგრამაში. არაფორმალური აქტივობების განხორციელება ხდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებისა და პარტნიორი ორგანიზაციების პროგრამების კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.**

6. მოსწავლეთა, დაინტერესებულ მხარეთა უკუავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მოსწავლეები წერენ რეფლექსიებს გასვლითი გაკვეთილებისა და ექსკურსიების შემდგომ. სკოლა პანდემიამდე აქტიურად ახორციელებდა მოსწავლეთა გამოკითხვას, რომელიც იყო ანონიმური და იღებდა ინფორმაციას მისთვის საინტერესო საკითხებზე. კვლევის პრაქტიკა და შედეგების დინამიური შესწავლა კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება. სკოლაში ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა ,,კმაყოფილების კითხვარი, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.სკოლა მზაობას გამოთქვავს 2023-2024 სასწავლო წელს წინა წლების შედეგების ანალიზზე დაყდნობით გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურეობა.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 88 ღია კარის დღე

დანართი N 89 მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

დანართი N 91 სემესტრული გამოცდის დანიშვნის ბრძანება

დანართი N93 სასკოლო გარემოს ფოტოები

დანართი N 94 წცევის თერაპევტის რეკომენდაციები

დანართი N95 სკოლის ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება

დანართი N 96 სასკოლო პროექტები

დანართი N 97ოლიას სახელმწიფო უნივერსტეტსა და სკოლას შორის გაფორმებული მემორანდული

დანართი N 98 ექსკურსიის შემდგომ უკუკავშირი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; კერძოდ, მოსწავლეები ღია კარის დღეებში სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს. ეცნობიან მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლა მუდმივად იწვევს სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, რათა მათ სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს და დაეხმარონ პროფესიული საკითხების გადაწყვეტაში. მათთვის შეთავაზებულია, როგორც შიდა სასკოლო სერვისები (ვიზიტი სამეცნიერო მუზეუმ „ექსპერიმენტორიუმში"- ქიმიური ცდების ჩატარება და ფიზიკის კანონზომიერებების პრაქტიკული გამოცდა, საგანი „ მეწარმეობის საფუძვლების" სწავლება, პროექტი „ფინანსური წიგნიერება"), ასევე თავად უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული აქტივობები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ილიას უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები (ღია კარის დღეები, საუნივერსიტეტო პროგრამების პრეზანტაციები).აღნიშნულიდან დამომდინარე.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; კერძოდ, უზრუნველყოფს უნივერსიტეტების წარმომადგენლების შეხვედრებსა და სხვადასხვა პროგრამების პრეზენტაციებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, ანხორციელებს მრავალფეროვან პროექტებს,რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლის პროფესიულ არჩევანს. სკოლა გეგმავს ინტერესთა სფეროს გამოვლენას პროფესიული არჩევანის მიმართულებით კითხვარების საშუალებით და ამ შედეგების კვლევას 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ასევე გასვლითი გაკვეთილების დაგეგმვისას სკოლა ხელს უწყობს, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ინტერესების და მიდრეკილებების იდენტიფიცირება. სკოლაში, ერთ-ერთ არჩევით საგანს წარმოადგენს „ მეწარმეობის საფუძვლები", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ივითარებენ სამეწარმეო უნარ-ჩვევებს. ამჟამად, სკოლაში ხორციელდება პროექტი „ფინანსური წიგნიერება", რომლის მიზანია მოსწავლეებში ჩამოაყალიბოს მართებული ფინანსური აზროვნება და მსოფლმხედველობა. ზემოთაღნიშნული პროექტები ეხმარება მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის არჩევაში. საკოლო პროექტების არჩევა და არჩევითი საგნების შემოტანა აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ემსახურება მათ კარიერულ არჩევანს.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ მოსწავლეები დასახულ მიზანებს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს მე-9-11 კლასების გამოკითხვის ჩატარებას. მოსწავლეთა ინტერესებისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში სკოლა მომავალში გეგმავს ჩაატაროს კვლევა, რათა შემდგომ დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 96 სასკოლო პროექტები

დანართი N97 ილიას სახელმწიფო უნივერსტეტსა და სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;კერძოდ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულებას. ყველა საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ინდივიდუალური შესაძლებლობები

ინდიკატორი4.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.კერძოდ, სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი,რომელიც უზრუნველყოფს ინდ გეგმის შემუშავებს და განხორციელების ხელშეწყობას.. სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებლები, ასევე შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი რომელიც ახორციელებს მონიტორინგს. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. აღნიშნულ მოსწავლეთა მუშაობისას საგნის მასწავლებლები კონსულტაციას გადიან ფსიქოლოგთან და სპეცმასწავლებელთან, რომ მოხდეს მათთვის მისაწოდებელი მასალების ადაპტირება. ურთიერთთანამშრომლობით დგება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვარიანტი,რომლის შედეგების ანალიზს ეფუძნება შესაბამისი ცვლილებები. ინდ. გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა, როგორც საგნის მაწავლებლები, ასევე, სპეცმასწავლებლები, ასისტენტი, დირექცია და მშობელი. ასევე, მათი თანაკლასელები. ასევე არსებობს ინტერვენციის გეგმა,

რომელიც შემუშავებულია შესაბამისი სპეციალისტების მიერ, მასში გაწერილია აქტივობები,რესურსები და პასუხისმგებელი პირები.)სკოლა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა პირველკასელ მოსწავლესთან და მათ მშობლებთან შეხვედრას სასწავლო გარემოსა და პედაგოგების გაცნობის მიზნით.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2.სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 100 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა

დანართი N 101 შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება

დანართი N 102 ინდ გეგმა

დანართი N 103 ისგ ჯგუფის ოქმი

დანართი N 104 მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დანართი N105 ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება

დანართი N106 სპეც მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა

დანართი N108 სსმ მოსწავლის ნამუშევარი

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს,სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები (ჭადრაკის წრე, მუსიკის წრე, ხელოვნების წრე, ცეკვის წრე).სკოლამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა წრის ხელმძღვანელებთან გაფორმებული და ასევე მშობელასა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.**აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2.მოცემული სერვისების შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია მშობელთა კრებებზე, განცხადებები გამოკრულია საინფორმაციო დაფებზე და მოსწავლეს თითოეული დამატებითი მომსახურების არჩევის საშუალება თავად შეუძლია. შესაბამისი საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებებით, ხელშეკრულებით, რომელიც იდება მოსწავლის კანონიერ **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2.სტანდარტს შეესაბამება.**

წამომადგენელსა და სკოლას,სკოლასა და წრის ხელმძღვანელს შორის. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

3.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს და შესაბამისად სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით მტკიცდება პედსაბჭოს მიერ.ყველა სახის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა დგინდება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების საფუძველზე.კერძოდ როგორც მშობელს ,ისე მოსწავლეს აქვს არჩევანის თავისუფლება მათი ინტერესების შესაბამისად.შეთავაზებულია მრავალფეროვანი სერვისები და ყველა მათგანი ეფუძნება სკოლის მისიის შესრულებას. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3.სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 5 სკოლის საინფორმაციო დაფა

დანართი N 107 წრის მასწავლებლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

დანართი N 108 კლასის ექსკურსიის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება(დაწყებითი კათედრა)

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელი ნაწილია. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით პროცესი ზოგადი სახით მოიცავს 4 ფაზას: დაგეგმვა,განახორციელება,მონიტორინგი და რევიზია.ამ პრცესის განხორციელების მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრების (-მასწავლებლები, მშობლები,მოსწავლეები) მონაწილეობით. ამ ჯგუფის მიზანია საკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების და პრიორიტეტების გამოვლენა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. შედეგების ანალიზი გათვალისწინებული იქნება საბოლოო ვარიანტში,რომელიც მიიღება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.1. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კრიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.მეთოდოლოგიის მიხედვით საგნობრივი კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების დადგენა, შედეგები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. უპირატესობა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის აასკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთა გამოწვევებს, იწვევს ცნობისმოყვარეობას,აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეინარჩუნოს ინდივიდუალიზმი და იწვევდეს კმაყოფილების განცდას. IT ტექნოლოგიები აქტიურად გამოყენება სასწავლო

პროცესში. რაც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მარტივი, მათთვის საინტერესო მეთოდებით მიიღონ ცოდნა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.2. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით.კერძოდ როგორც საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრის დროს დადასტურდა, პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი, ერთობლივად ადგენენ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს,ადგენენ თითოეული თემის გამხილვისას მოლოდინებს ცნებებთან მიმართებით.ამ მოლოდინების შეფასების საფუძველზე იმსჯელებენ მიღებულ შედეგზე და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას . სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების და ამის შედეგად გაცემული უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები,ასევე დამატებით ინტერვიუს დროს მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგებმა ნათლად ისაუბრეს იმ პროცესებზე რაც კურიკულუმის შემუშავების დროს მიმდინარეობს, კერძოდ: იმართება პედაგოგთა შეხვედრები, სადაც ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ საკითხებს,მუშავდება კომპლექსური დავალებები,რომლებშიც ასახულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები შეხედულებები. რაც დასტურდება ინტერვიუს დროს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების დასახელებით .პროგრამა Geogebra კი ხელ უწყობს ტექნოლოგიების განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმობა შუალდური სასწ

ავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.კერძოდ სკოლას გააჩნია ვებ-გვერდი,რომელიც დამუშავების პროცესშია და სექტემბრიდან მასზე განთავსდება საგნობრივი კურიკულუმები.ამ ეტაპზე დამრიგებლების მიერ ხდება ფეისბუქ ჯგუფებში მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა.ბარათებში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების,დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. გარდა ამისა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.4. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს(დაწყებითი საფეხური)

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სახელმწიფო ენა

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო კათედრის წევრების მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე .

მტკიცებულებას წარმოადეგნს სახელმწიფო ენის კათედრის 2022-2023 წლის I სემესტრის ანგარიში, რომელშიცწარმოდგენილია დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გრძელვადიანი და შუალედური მიზნები და ამოცანები, წინა წლების შედეგების ანალიზი, შემუშავებული რეკომენდაციები და პრობლემების გადაჭრის გზები.

1.მათემატიკა

წარმდგენილი კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. საგნობრივი კურიკულუმი დამუშავების პროცესშია, თუმცა 1-4 კლასების კურიკულუმში კარგადაა განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, დაგეგმილია პირველი თემა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მეხუთე - მეექვსე კლასების კურიკულუმებში გაწერილი გახლდათ სასწავლო თემები და საკითხები, აგრეთვე გრძელვადიანი მიზნები, მაგრამ დაზუსტებას საჭიროებდა დასამუშავებელი ქვეცნებები, თუმცა გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს აქვთ ზუსტი წარმოდგენები ჩასატარებელ სამუშაოებზე, კურიკულუმი დაგეგმვის პროცესშია და ახალი სასწავლო წლისათვის საჭირო სახეს მიიღებს.

1.უცხო ენები

1. ავტორიზაციის პროცესში, უცხოური ენების კათერდამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები. დაწყებითი საფეხურის ინგლისური (I-VI) და რუსული ენის (V-VI) კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების გათვალისწინებით. უცხოური ენების საგნობრის ოქმში წარმოდგენილია დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების სწავლების გრძელვადიანი და შუალედური მიზნები და ამოცანები,თითოეული თემისათვის შეირჩევა საკითხთა ჯგუფი, რომელიც თემის შინაარსს

აკონკრეტებს. 2023-2024 სასწავლო წელს, კათედრას დაგეგმილი აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელდება, რომელთა საშუალებით მოსწავლეები გავლენ თემის შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

1. ტექნოლოგიები

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების (ი.ს.ტ) კურიკულუმის ჩარჩოდან ჩანს რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმივისა და განვითარების გზას, მაგალითად მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოსწავლეები ჯერ ეცნობიან პირობით ნიშნებს, შემდეგ ინტერნეტ ქსელის შესახებ ასრულებენ დავალებას „ჩემი ქსელი“ და ამ ორი საკითხის გაერთიანებით მოსწავლეები თავადაც გადიან ავტორიზაციას Teams-ში და ასევე აკეთებენ ილუსტრაციას პროგრამაში შესვლის შესახებ. (დანართი N111 საგნობრივი კურიკულუმი, ი.ს.ტ II კლასი)

1.საბუნებისმეტყველო საგნები

სასკოლო საწავლო გეგმაში წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში (გვ. 35) საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების პროცესში - სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.ასევე, წლიური პროგრამები / კურიკულუმი

დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების მეშვეობით. სასწავლო თემა კი წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ, ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და საკითხების ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი კი სწორედ მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურების თანამონაწილეობითი სასწავლო პროცესისკენ არის მიმართული.

1.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მნიშვნელოვანია, რომ მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს იმ საკითხების ფარგლებში, რომლებიც კომპლექსური დავალებებით არ მუშავდება, სამიზნე ცნებების გააქტიურება, რათა გამოჩნდეს თემის ფარგლებში ყველა გრძელვადიანი მიზნების გააქტიურება.

1.ესთეტიკის კათედრა

კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას.საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე,ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს,მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას.

1.სპორტი

დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის მიხედვით. ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასების კურიკულუმების შესწავლისას, გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გდახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან

2.სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ,მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში აღწერილია გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. ამასთან, გლობალურ-ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა აღწერილია როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლები, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტებს შორის.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს და რესურსებს, გაკვეთილებში ნერგავენ ისტ-ის გამოყენებას.

2.მათემატიკა

წარმოდგენილი კურიკულუმები დამუშავების პროცესშია, მაგრამ დაგეგმილი ნაწილებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები და აქვთ გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროექტებსა და კურიკულუმებში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის გამოცდილება.

2.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის (I- VI) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებს და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი

კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. კათედრას წარმოდგენილი აქვს მე-4 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების მტკიცებულებები(კომპლექსური დავალების ბარათი, შეფასება სოლო ტაქსონომიის მიხედვით, მოსწავლის ნამუშევარი). წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს კორელაცია გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და დანერგვას (დაგეგმვა, შეფასება) შორის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან

2.ტექნოლოგიები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრისას და სკოლის მისიის პროექტის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ IT ტექნოლოგიები მათი უპირატესობას წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ეს დასტურდება არა მხოლოდ საგნობრივ კურიკულუმში, არამედ სკოლაში განხორციელებულ პროექტშიც „კლიმატის ცვლილებები დედამიწაზე“ . პროექტის ფარგებში მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას გლობალური დათბობის შესახებ და პროექტის პოლოს წარმოადგენენ პრეზენტაციებს, ვიდეო რგოლებსა და პლაკატებს აღნიშნულ თემაზე. (დანართი N116)

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმასა და წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე და სტანდარტის შედეგებზე) ორიენტირებით.

2.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო პროცესი იგეგმება სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით უნდა იყოს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები და სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, გამოკვეთილია შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია კომპლექსური დავალებები. მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ა.შ.

2.ესთეტიკური აღზრდა

შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს

სავალდებულო თემატური თემები/ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

მუსიკაში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი და სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები;

2.სპორტი

შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსურ დავალებებში ნათლად ჩანს მკვიდრი წარმოდგენების დაკავშირება სამიზნე ცნებებთა. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან

3.სახელმწიფო ენა

გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ,რომ...სკოლას აქვს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომის სასწავლო პროცესში ჩართვის გამოცდილება,მოსწავლეთა მზაობის,ინტერესების,საჭიროებების გათვალისწინებით.რის საფუძველზეც დაგემილია ინტერვენციები,რაც აისახება სასწავლო კურიკულუმში.
მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სსსმ მოსწავლეთა პორტფოლიო

3.მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. წარმოდგენილიმტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, კომპლექსური დავალების ადაპტირების გამოცდილება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.ამ ინდიკატორში დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

3.უცხო ენები

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში, დაწყებით საფეხურზე, სწავლობს სსსმ მოსწავლე. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლის ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს დასტურდება ინდვიდუალური სასწავლო გეგმით, რომლებშიც განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ადაპტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე, რათა მოსწავლემ შეძლოს გამოავლინოს მისი სასწავლო თუ პიროვნული პოტენციალი. დოკუმენტებში იკვეთება დიაგნოსტიკური

შეფასება - მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი; მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა. კერძოდ, სად იყო მოსწავლე და სად მივიდა კონკრეტული ინტერევენციების პროცესში. არსებული მონაცემებით დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3.ტექნოლოგიები

კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში „ტურისტული გზამკვლევი“ დავალების პირობაში, პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს რამდენიმე ინსტრუმენტს საბოლო პროდუქტის შესაქმნელად Power Point, Word, Canva.com. გარდა ინსტრუმენტისა ასევე სთავაზობს პროდუქტის არჩევასაც, კერძოდ პრეზენტაცია, ბროშურა, ფლაერი, პოსტერი, ვიდეორგოლი. ზემოთ აღნიშნული კომპლექსური დავალებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკუზიურ მიდგომებს.(დანართი N117)

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავებას. ასევე მოსწავლეებისთვის მათთვის სასურველ ფორმატში დავალებების მიცემას და ცოდნის შემოწმებას.
სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისების მიწოდების რეგულაციაზე.

3.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ასევე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად სასკოლო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ და ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები და ხელი შეეწყობა მის პროგრესს.

3.ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკისა და ხელოვნების საგანში, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებებიდან ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება რომელიც მისცემს მოსწავლეს შესძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ვინაიდან კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მაგალითად, მუსიკის, ხელოვნების საგნის კურიკულუმი რომლებიც თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სხვადასხვა არჩევანს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი და მათ შესაძლებლობებზე მორგებული.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსი.

როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიან სსსმ მოსწავლეებზე მორგებულ ადაპტირებულ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებს.

3.სპორტი

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე: დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით.

ინდიკატორი 2.1.2.3.სტანდარტთან შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრიდან VI კლასის ჩათვლით მოსწავლეები ფასდებიან,როგორც განმავითარებელი ,ასევე განმსაზღვრელი შეფასებით.ძირითად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარს. დაწყებითი საფეხურის მე-6 კლასში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ,სამომავლოდ იგეგმება კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით,გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით განმსაღვრელი და

განმავითარებელი რუბრიკის შექმნა,ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი.დასტურდება **შესაბამისობა** ინდიკატორთან

4.მათემატიკა

წარმოდგენილ მტკიცებულებებში არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ესგ-ს შედეგების ტაქსონომიას და წარმოდგენას გვიქმნის სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოების წესზე, წარმოდგენილია აგრეთვე რამდენიმე თემატური მატრიცა, რაც აგრეთვე გვიჩვენებს სკოლაში უკვე არსებულ პრაქტიკას. შეფასება მიემარტება სტანდარტით გათვალისწინებული შედეგებისკენ.

.4.უცხო ენები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი (მე-6 და მე-5 კლასის მეორე სემესტრში) და განმავითარებელი (I-VI) შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მიღწევების შეფასებას. უცხოური ენების კათედრას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა

შეფასების პოლიტიკა, წარმოდგენილი აქვს რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ინგლისური და რუსული ენებისთვის. ინდიკატორთან მიმართებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.ტექნოლოგიები

როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კომპლექსური დავალებების შესაფასებლად პედაგოგები იყენებენ SOLO ტაქსონომიას. (დანართი N118, კათედრის სხდომის ოქმი) . გარდა ამის კათედრებს შემუშავებული აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები , მაგალითად დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისათვის იყენებენ 4 ინსტრუმენტს: ჩანაწერების დღიური, თვითშეფასების სქემა (წყვილები, ინდივიდუალური), გასასვლელი ბარათები და ოთხ დონიანი რუბრიკა. (დანართი N119, მათ.ქართ.ბუნ) მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრე შეფასებას. სკოლას დაგეგმილი აქვს აღნიშნული მოდიელის ცვლილება, რაც რა თქმა უნდა გამოიწვევს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ცლილებასაც.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის დიზაინში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით საუბარია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება საგნების სწავლება და რა ინსტრუმენტები გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ოქმში აღნიშნულია და ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში განმავითარებელი შეფასება ხდება შემდეგნაირად: კათედრის ფარგლებში პარალელური კლასების პედაგოგები ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და კომპლექსური დავალებების შეფასებისას იყენებენ სოლო ტაქსონომიას.

4.ესთეტიკური აღზრდა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირების, მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს.სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ სკოლაში კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.)ზოგადი შეფასების სქემები.
ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა

განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელიშფასების

რუბრიკები.

4.სპორტი

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების

ინდიკატორი 2.1.2.4.სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

კათედრაზე არსებობს მხადაჭერის საუკეთესო პრაქტიკა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციისთვიის დოკუმენტაციაში შემაჯამებელი დავალების რეფლექსია და ანალიზი, სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, ასევე საგნის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს როგორ დაეხმარათ წინა წლის გამოცდილება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან

5.მათემატიკის კათედრა

წამოდგენილი მტკიცებულებებით(კათედრის ოქმები, ფორმსის კითხვარები) სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზისა და შედეგების გადაწყვეტილებებში გადატანის გამოცდილება, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავებისას სკოლას აქვს უნარი და გამოცდილება გაითვალისწინოს წინა წლების წარმატებული პრაქტიკა;

5.უცხო ენები

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული გამოცდილება, კერძოდ, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (საგნის მასწავლებლების, კათედრის

ანგარიშები). სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა, რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მე-4კლასი, კომპლექსური დაავლება"ჩემი საყვარელი ზღაპარი ან მულტფილმი"). ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.ტექნოლოგიები

მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის სხდომის ოქმიდან ჩანს რომ სკოლა დაგეგმის პროცესში იყენებს წინარე გამოცდილებას, კერძოდ პირველი სემესტრიში შეჯამების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად პედაგოგებმა შეიმუშავეს ახალი სამოქმედო გეგმა რომლითაც იმუშავებდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან. სასკოლო საწავლო გეგმაში წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში (გვ. 35) საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება საკითხების შერჩევა, რომლებიც ისწავლება სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა).

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და გეგმავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება საკითხების შერჩევა, რომლებიც ისწავლება სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა). წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს

5.ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ინდ. სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

5.სპორტი

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსური დავალების მაგალითიდან გამომდინარე, ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5.სტანდარტთან შესაბამისია

2.2 კურიკულუმის განხორციელება (დაწყებითი კათედრა)

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა.

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისათვის მასწავლებლები იყენებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც მკაფიოდ გამოვლინდა როგორც ავტორიზაციის დოკუმენტებში, ასევე ინტერვიუს დროს. კურიკულუმებში წარმოჩენილი კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლეს უბიძგებს ფიქრისკენ, რაც თავისთავად დასამუშავებელი საკითხის მიმართ ინტერესს იწვევს: მაგალითისათვის მოვიხმობ მე-3 კლასში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებას წერილი პერსონაჟს(ტექსტი ,,ჭკვიანი ძაღლები“)განხორციელებული კომპლექსური დავალება აძლევს მოსწავლევს შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას.

1.მათემატიკის კათედრა

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებები, ხოლო მტკიცებულებების სახით სკოლას დართული აქვს რეალიზებული თემატური მატრიცები, სასწავლო პროექტები და შედეგების ანალიზი, რაც აჩვენებს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეებს შესთავაზოს აქტიური შემოქმედებითი პროცესი, აამაღლოს მათი შინაგანი მოტივაცია.

1.უცხო ენები

კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ინგლისურის მასწავლებლის მიერ მტკიცებულებით წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაზე “ ჩემი საყვარელი ზღაპარი ან მულტფილმი” დაწყებითი საფეხურის (IVკლ.) მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ მრავალფეროვანი აქტივობებით და შემოქმედებითი პროდუქტებით (წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შესულეული Powerpoint- პრეზენტაცია). აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და **ინდიკატორთან შესაბამისობა დადასტურდება.**

1. ტექნოლოგიები

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ჩანს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. გარდა კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებისა (დანართი N124) სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალურ განათლებასაც, რაც გამოიხატება სკოლის გარეთ ჩატარებულ „ექსკურსია გაკვეთილებში“ (დანართი N122)

1. საბუნებისმეტყველო საგნები

1. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპების შესაბამისად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი მიდგომების რეალიზებას. ასევე, მხარდაჭერილია მოსწავლის ცოდნის გამოხატვის ფორმები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი ჩართულობის გაზრდას.

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და სავალდებულო თემების ფარგლებში დაგეგმილი შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესებში, მაგ. გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საგნებში მე-10 კლასში დაგეგმილია სხვადასხვა საკითხების შესწავლა კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და შექმნან ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორიცაა - მოხსენება, სტატია, ესსე, საინფორმაციო გზამკვლევი, ინტერვიუ, წერილი... და ამ პროდუქტების დახმარებით დაადასტურონ თავისი ცოდნა შესასწავლი საკითხებისადმი. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად სწორედ კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

1.ესთეტიკური აღზრდა

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში,სკოლის გვერდზე განთავსებულ სასწავლო პროექტებში. სასკოლო გეგმაში აღნიშნულია რომ მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, სკოლაში თითოეულ საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები,(მუზეუმბში,გალერეებში,საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებს შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

1.სპორტი

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ლაშქრობა) და თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება), შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კომპლექსურ დავალებებში გაწერილი აქტივობები და რესურსები მრავალფეროვანია და იძლევა იმის საშუალება, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.1 სტანდარტთან შესაბამისია

2.სახელმწიფო ენა

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები და ამ ეტაპებისათვის გაწერილი გაკვეთილების გეგმები გააღვივებს მოსწავლეებში შინაგან მოტივაციას და ხელს შეუწყობს აქტიურ სწავლას. შედაგად, ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. რასაც ადასტურებს მე-6 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება(ორი პერსონაჟის შედარებითი დახასიათება)ამ ინდიკატორში სკოლა ადასტურებს **შესაბამისობას** სტანდარტთან

2.მათემატიკა

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე(თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები) სკოლას აქვს ახალი ცოდნის მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ახალი 2023/2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავება მიმდინარეობს კათედრაზე წინა წლის კურიკულუმის განხორციელების ანალიზისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების გზით.

2.უცხო ენები

ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ორივე საგნში) ინგლისური და რუსული ენები) კომპლექსური დავალებების თემები და პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი მისთვის ნაცნობ კონტექსტებში. მასწავლებლებმა ინტრევიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნის გამოყენებით, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნულის შესაბამისად, ინდიკატორითან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ რომ დაწყებით საფეხურზე, ინგლისური და რუსული ენების სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება **ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე**

2.ტექნოლოგიები

სკოლაში სასწავლო პროცეს მიმდინარეობს მესამე თაობის ე.ს.გ-ს მიხედვით. შესაბამისად სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომელიც თავისტავად მოიცავს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად III კლასის მათემატიკის კომპლექსურ დავალებში საბოლოო პროდუქტის შექმნამდე მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს: „რას ნიშნავს გაორმაგება?“, „გასამმაგება?“ , „როგორ გამოითვლი? (ილუსტრაციაზე ნაჩვენებ მაგალითს)“ აღნიშნულ კითხვებზე პასუხი კი იწვევს წინარე ცოდნის გააქტიურებას. (დანართი N124, მათ. III კლ.)

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა, მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო პროცესში ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავებისას შექმნას ისეთი მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ დავალებებზე მუშაობის დროს მოხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება, ნაცნობი კონტექსტების გამოკვეთა, რომლის საფუძველზეც მოსწავლე შეძლებს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.

2.ესთეტიკური აღზრდა

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას.(განსაკუთრებით ჩანს მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში) მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება . კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა , არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კონსტრუქტივისტული პარადიგმა ასევე მოიაზრებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სწავლებას, რის შესახებაც არის საუბარი სასკოლო მეთოდოლოგიაში.

2.სპორტი

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრონციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სახელმწიფო ენა

წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა იმის დადგენის საშუალებას,თუ როგორრ მიემართება სასწავლო პროცესი სწავლის სწავლას. ინტერვიუს დროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მათ დიდი ძალისხმევა სჭირდებათ,რათა მოსწავლეებმა განუვითარონ დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიები.ისინი მოსწავლეებს სასწავლო პროცესში აძლევენ

ფიქრის,განსჯის,ვარაუდების გამოთქმის,ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის საშუალებას. ამ მსჯელობიდან გამომდინარე დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან

3.მათემატიკა

მტკიცებულებებში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან(თემატური მატრიცები) ჩანს, რომ სკოლა დაგეგმვისას აქცენტს აკეტებს მოსწავლეებში მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტირების მნიშვნელობა. მასწავლებლების გადმოცემით, ისინი იყენებენ სწავლებისას შესრულებულსამუშაოზე თვითრეფლექსიას.

3.უცხო ენები

დოკუმენტაციაზე და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, მოსწავლის გამჭოლი უნარების განვითარებაზე, კერძოდ, პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია. კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი; ამის გარდა, წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლე სვამს კითხვებს და აკეთებს ანალიზს შემდეგ კითხვებზე: *რა*

შევასრულე კარგად? რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მომიტანა წარმატება? რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა? როგორ გადაჭრა დაბრკოლებები? რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა.

ვლინდება მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობა.

3.ტექნოლოგიები

სასწავლო პროცესში,ყველა საფეხურზე, აქტიურად არის ჩართული ტექნოლოგიების გამოყენება,რაც ახალისებს და ამარტივებს ამ პროცესს.შესაბამისად ხელს უწყობს სწავლის სწავლას.

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სწავლის სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ საუბარი არის წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში - თუ რა სასკოლო პროექტები ხორციელდება , რა კავშირშია ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან, რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში განსაზღვრული კომპლექსური დავალებებით მუშაობა, პედაგოგებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ სასწავლო პროცესი ისე რომ მოსწავლეები დაეუფლონ სწავლის სტრატეგიებს, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები იწყებენ ფიქრს რა ხერხებსა და მიდგომები გამოიყენონ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას და როგორ წარმოაჩინონ თავის ცოდნა ნამუშევარში.

3.ესთეტიკური აღზრდა

ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, პორთფოლიოებში, სკოლის სასწავლო გეგმასა და მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების მნიშვნელობის განსაზღვრა.მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი , წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. (სასწ.გეგმა)
მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ მუსიკის მატრიცაში ჩანს როგორ იყენებს პედაგოგი სხვადასხვა სტრატეგიებს დაგეგმილი დავალებები მოსწავლეს აძლევს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მოსწავლე თავად ახდენს შესრულებული დავლების ანალიზს,მას შეუძლია პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, მას შეუძლია სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად;

3.სპორტი

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები).

ინდიკატორი 2.2.1.3. სტანდართან შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე ცოდნის კონსტრუირების პროცესში ცოდნის სამივე კატეგორია იფარება. სამიზნე ცნებებთან მიმართებით წარმოდგენილი ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული შეკითხვები მიმართულია პროცედურულიდან-პირობისეულისაკენ.მაგალითისათვის მოვიხმობ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს(,,ბერიკაცი და ნამყენი", ,,გემი" ,,მთის წყარო")შეკითხვების ველი ცხადყოფს,რომ პროცესი უკავშირდება რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებში ნასწავლის გამოყენებას.

4.მათემატიკა

წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია გრძევადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით, პრობლემაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებების დაგეგმვით, რაც სკოლას საშუალებას მისცემს ორიენტაცია აიღოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. წარმოდგენილ მტკიცებულებებში განვლილი სასწავლო წლის აქტივობები(კომპლექსური დავალებები, მოსწავლეტა ნამუშევრები) ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს ასეთი დაგეგმვის გარკვეული გამოცდილება. საჭიროა კათედრაზე და კათედრებს შორის ტანამშრომლობის გაძლიერება სასწავლო პრცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

4.უცხო ენები

ცოდნის სამ კატეგორიაზე (პირობისეული, დეკლარატიული და პროცედურული) ორიენტირებულობა იკვეთება უცხოური კათედრის მიერ წარმოფგენილ საგნობრივ პროგრამებში. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების დამუშავებას და გააზრებას ცოდნის სამივე კატეგორიაში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, შეუძლიათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. ამის მაგალითია უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები,რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

4.ტექნოლოგიები

მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების „გაზომე სტანდარტული და არასტანდარტული ზომის ერთეულებით“ მატრიცის მიხედვით პროდუქტის პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს. აღნიშნული კითხვები, კი იმგვარად არის ფრომულირებული, რომ მოსწავლეს შეუძლია გავიდეს ცოდნის სამ კატეგორიაზე, მაგალითად: რა საშუალება გამოიყენე გაზომვის ჩასატარებლად? *(დეკლარატიული)*; როგორ დაადგინე რომელია გრძელი, რომელი მოკლე, რომელი დაბალი, რომელი მაღალი? *(პროცედურული)*; მიღებული გამოცდილება სად შეიძლება გამოიყენო და როგორ? *(პირობისეული)* (დანართი N124, მათ. II კლ)

4.საბუნებისმეტყველო საგნები

კურიკულუმებში წარმოდგენილ ნიმუშებში განსაზღვრული არის კონტექსტ მაგალითები, რაც გარკვეულ კონტექსტებთან მიმართებაში საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა, პედაგოგებთან საუბარში ასევე გამოიკვეთა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების აქცენტები.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები პედაგოგებს საშუალებას აძლევს დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის აგებაზე იყოს ორიენტირებული.

4.ესთეტიკური აღზრდა

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას .

4.სპორტი

ფიზიკური აღზრდის კო,პლექსურ დავალებებში ჩანს რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ასევე, ინტერვიურების დროს დასტურდება პროცესი.

ინდიკატორი 2.2.1.4.სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

განხორციელებული დავალებები ორიენტირებულია პირობისეული ცოდნის მიღებაზე,,პრობლემის გადაჭრაზე,პროდუქტის შექმნაზე,ავტორიზაციის მხარდამჭერი ჯგუფისა და ქოუჩების დახმარებით შემუშავებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები,რაც იძლევა ცოდნათა ურთიერდაკავშირებისა და ორგანიზების საშუალებას.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სამომავლოდ ,კომპლექსური დავალებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მეტად ორიენტირებულნი იქნებიან გრძელვადიან მიზნებზე.

5.მათემატიკა

სკოლა კურიკულუმის მიხედვით გეგმავს კომპლექსური ტიპის დავალებებს, საკმაოდ მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე, ეს თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა შეზენილი ცოდნისა და უნარის გააქტიურებას, გასაუბრებისას გამოჩდა, რომ მასწავლებლებს ესმით საგნობრივი საკითხების სიღრმისეული

გააზრების პრობლემატიკა და გეგმავენ შესაბამის აქტივობებს. ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანია ერთობლივი პროექტების განხორციელება, კატედრათა შორის თანამშრომლოის გააქტიურება;

5.უცხო ენები

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება,რაც დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, შესაბამისად, დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

5.ტექნოლოგიები

სკოლაში აქტიურად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რაც ხელს უწობს სასწავლო პრცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კერძოდ: სხვადასხვა საგნებში წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების მატრიცებში ნათლად ჩანს საგნებთან ტექნოლოგიების ინტეგრაცია. ბუნება II კლასი „დედამიწა და გარე სამყარო“ საბოლოო პროდუქტი უნდა მომზადდეს პროგრამა „ვსწავლობ თამაშით“, ბუნება III კლასი , მათემატიკა III კლასი „რწყილი და ჭიანჭველა“ საბოლოო პროდუქტი უნდა შექმნან „ვწავლობ თამაშთ“ ან „Minecraft“-ის გამოყენებით. (დანართი N124, ბუნ III კლ., მათ. III კლ) გარდა ამის, როგორც

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა ინტელის პროექტები რომელიც მოიცავს სხვადასხვა საგნების ინტეგრაციას.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე და ორგანიზებაზე.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში განსაზღვრული კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს პედაგოგს დავალების განხორციელების პროცესში ორიენტირებული იყოს პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომელიც საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება.

5.ესთეტიკური აღზრდა

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების ნახვისას (განხორრციელებული კომპლექსური დავალებებიდან,პროექტებიდან,სოციალურ ქსელზე ატვირთული მასალებიდან) ნათლად ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავლებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნიას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

5.სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ამ აქტივობებს.

ინდიკატორი 2.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისია

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.(დაწყებითი საფეხური)

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის კათედრის მასალებიდან და მასწავლებლებთან ინტერვის შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე (I-VI) კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეების მიერ გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.აქედან გამომდინარე,დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან. ამ ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომებით ხორციელდება. კერძოდ, კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსური ბუნების დავალებებში და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

1.მათემატიკა

მტკიცებულების სახით წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სრულად არის გაწერილი თემები, დაგეგმილი თემებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სკოლა საგნის სწავლებას გეგმავს საგნობრივ, სტანდარტებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიხედვით. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასტან დაკავშირებით. თემატური დაგეგმვისას მნიშვნელოვანია საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებას/მკვიდრ

წარმოდგენებს შორის კავშირების სწორი ასახვა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რაც დასტურდება თემატური მატრიცებითა და მოსწავლეების ნამუშევრებით;

1.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებებლთა ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით. შუალედური სასწავლო მიზნები ამუშავებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

1.საბუნებისმეტყველო საგნები

კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად.

1.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით.

რომლებიც მუშავდება შუალედური სასწავლო მიზნებით, კომპლექსური დავალებებით. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება.

1.ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლების პორტფოლიოებში,კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

1.სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის სამივე საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტოვობების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტთან შესაბამისია

2.სახლემწიფო ენა

შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი , არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.ქართულ ენასა და ლიტერატურაში დავალებები იმგვარადაა შერჩეული,რომ ხელს უწყობს მოსწავლის თვითგამოხატვის,სოციო-ემოციური უნარების განვითარებას.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების გასიტყვების პროცესში რამდენად მნიშნელოვანი იყო მათთვის

მოსწავლის უკუკავშირი დავალებაზე მუშაობის თვალსაზრისით, რომლის საფუძველზეც გამოჰქონდათ გარკვეული დასკვნები ,თუ რა გაუჭირდა მოსწავლეს და რა იყო მათი მხრიდან დაძლეული. ამ ინდიკატორში დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან

2.მათემატიკა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში კომპლექსურ დავალებებს ან თემების შესწავლისას დავალებებს არჩევენ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, კურიკულუმზე და თემატურ მატრიცებზე მუშაობისას სწორედ ესაა მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

2.უცხო ენები

.შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითრება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ეს ჩანს მოსწავლეების დავალებში, შეფასების რუბრიკებსა და ანალიზებში, არაფორმალურ აქტივობებში.
დასტურდება სტანდარტის ინდიკატორთან შესაბამისობა.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის ფილოსოფიიის მიხედვით, მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარება არის პრიორიტეტი. კონსტრუქრივისტული სწავლების პრინციპების დანერგვა განიხილება ამ პრორიტეტებთან მიმართებაში.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასწავლო პროცესში ისეა დაგეგმილი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

2.ესთეტიკური აღზრდა

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე სკოლა მოსწალეებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებას ხელოვნებისა და მუსიკის წრეების სახით, ახორციელებს სოციალურ პროექტებს(,მტკიცებულება-სკოლის გვერზე წარმოდგენილი პროექტები) რაც ხელს უწყობსმოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

2.სპორტი

სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2.სტანდარტთან შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. დაწყებით საფეხურზე, კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცეში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია.რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ მასწავლებლებთან.

3.მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების, როგორც პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, ამოცანები. მტკიცებულებებში წარმოდგენილი მატემატიკაში განმავითარებელი შეფასების ნიმუში ადასტურებს, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები მოსწავლის შეფასების მნიშვნელობასა და ამოცანებზე;

3.უცხო ენები

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტრურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება, ზეპირი და/ან წერილობითი უკუკავშირი. შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში საუბარია სკოლის მისიის შესახებ, რაც გულისხმობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპი შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები მოქალაქეობისა და ისტორიის საგანებში, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. სკოლა ასევე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად.

3.ესთეტიკური აღზრდა

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში,ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა განმავითარებელი კომენტარებით,ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

3.სპორტი

ინტრვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზესამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და, მათ შორის, მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით.

ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტიკიცებულ ვარიანტში გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება სანდო და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება მდგრადი და რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

4.მათემატიკა

თვითშეფასებაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ ახალი სასწავლო წლიდან შეფასების სანდოობის გასაზრდელად გეგმავს ახალი ინსტრუმენტების დანერგვას. სკოლას აქვს საკმაოდ საინტერესო მოქმედი შეფასების ინსტრუმენტები და შეფასეია ანალიზის გარკვეული გამოცდილება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას სეფასების სისტემის სანდოობის გასაზრდელად ტანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით. მნიშვნელოვანია სკოლამ გააგრძელოს ინტენსიური

საქმიანობა ამ მიმარტულებით და სრულყოს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის შემოწმების მექანიზმები.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს,რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. თუმცა იგეგმება შეფასების მეორე მოდელზე გადასვლა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია , როგორ ხდება კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებასაც გეგმავს კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება მდგრადი და რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

4.ესთეტიკური აღზრდა

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

როგორც პედაგოგებმ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელბსაც სკოლა იყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

5.მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

5.ესთეტიკური აღზრდა

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტთან შესაბამისია

6.სახელმწიფო ენა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.მათემატიკა

 სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.ესთეტიკური აღზრდა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.სპორტი

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორი 2.2.2.6.სტანდარტთან შესაბამისია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით,ისე ვიზიტის დროს გარემოს დათვალიერებით.სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა,რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. პოზიტიურ გარემოში ხდება უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება.სკოლის ბიბლიოთეკა და სკოლის ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.სკოლის მისიაში გაწერლია მოსწავლის აკადემიური შეფასების წესი,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის განვითარები გზა. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.**ინდიკატორი 2.2.3.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა,განხორციელებული პროექტები,რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. კათედრის წევრების ფართო ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება და საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად სკოლა კონკტერული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას..კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული რესურსი ზოგადად და არ იყო მითითებული შესაბამისი ბმულები თუმცა პრობლემა მოგვარდა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე. ქიმიის პედაგოგებმა წარმოადგინეს კურიკულუმის რედაქტირებული ვერსია.**ინდიკატორი 2.2.3.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას,რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით,თუ პროექტებით.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს.ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022-2023 სასწავლო წლის გაანალიზება და შედეგების სფუძველზე პროექტის რევიზია.**ინდიკატორი 2.2.3.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში.კერძოდ შეფასების სისტემა,როგორც განმავითარებელი,ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად,ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.სკოლას შემუშავებულია აქვს ადაპტაციის წესი,რომლის საპედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სწავლა სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. დირექციის მიერ კარგად არის აწყობილი დელეგირების პროცესი რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლაში ხშირია ერთობლივი ღონისძიებები / პროექტები, გუნდური მუშაობის პრინციპი და ღიაობა ერთ-ერთი დასაფასებელი კრიტერიუმია. სკოლა განაგრძობს აქცენტირებას პოზიტიური სასწავლო კლიმატის გასავითარებლად, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვკვლავა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებიში მიკუთცვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირების ნაწილში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში **ინდიკატორი 2.2.3.4.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართი N 102 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დანართი N117 კურიკულუმი

დანართი N124 მატრიცა
დანართი N142 ინტეგრირებული გაკვეთილი
დანართი N 143 თვითმმართველობის ოქმი
დანართი N 153 ქიმიის განახლებული კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდლოგია, 2023 – 2024 სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სრულად ამ მეთოდოლოოგიის შესაბამისად. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი. ამ ეტაპზე სკოლაში კომპლექსური დავალებების შერჩევა, კოორდინირებულად მიმდინარეობს პარალელურ კლასში. მოსწავლეთა შედეგებს ერთობლივად განიხილავენ საგნის მასწავლებლები, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა დაფუძნებულია მხარდაჭერის პრინციპებზე. აღნიშნული ჯგუფი ესწრება კათედრის წევრებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს. ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. სკოლა გეგმავს კითხვარის მომზადებას პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და კითხვარის საფუძველზე ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად SWOT ანალიზის მეთოდის გამოყენებას, რის შემდგომაც სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს შესაბამის ცვლილებებს.**ინდიკატორი 2.3.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა,ამ პროცესის შედეგად შედეგად მათ ეძლევათ არგუმენტირებული უკუკავშირი. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი უკუკავშირის გაცემის შემდგომ გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აფასებს, თუ რამდენად გაითვალისწინა პედაგოგმა რეკომენდაციები.შესაბამისად, სწორად გაცემული რეკომენდაციები, ასევე მიმღებლობა მასწავლებლების მხრიდან, განვითრების კარგი საშუალებაა.მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას , მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. როგორც გასაუბრების შედეგად გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება, რომლისთვისაც სკოლის დონეზე მზადდება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. საიაგნოსტიკო შეფასებები ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (დეკემბერი, მაისი).**ინდიკატორი 2.3.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3. სასწავლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად , რომელსაც ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და გასავითარებელ მხარეებს, ასევე კათედრებზე ურთიერთანამშრომლობის შედეგად მასწავლებებლი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე , სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

ინდიკატორი 2.3.1.3.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 127 ხარისხის განვითარების ჯგუფის უკუკავშირი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლთა მუდმივ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, შეფასების დიზაინის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ხედვა.

ინდიკატორი 2.3.2.1.სტანდარტთან შესაბამისია

2. შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა უკუკავშირების გათვალისწინებით, კომპლესური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით,ასევე სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას., რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. როგორც პირადი შეხვედრებიდან გამოიკვეთა მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე.**ინდიკატორი 2.3.2.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს,რაოდენობრივი კველევის მეთოდების საშუალებით, ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - ჩაღმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება,

ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას დაინერგოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა. **ინდიკატორი 2.3.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**
4.როგორც სასოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,ამ ეტაპზე სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე.**ინდიკატორი 2.3.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 144 თვითშეფასების რუბრიკა

დანართი N128განმავითარებელი შეფასება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მეთოდოლოგიის საფუძველზე დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი,რომლის მიზანია კურიკულუმის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ,წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გამოვლენილი პრობლემის თუ წარმატების გაანალიზრბის შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი,რომლის საფუძველზე მოხდება სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება და განვითარება საგნობრივი კათედრების ფრაგლებში.**ინდიკატორი 2.4.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2..როგორც საგნობრივი ექსპერტებთან. კათედრის წევრების გასაუბრების დროს და 2023-2024 სასკოლო გეგმის პროექტის გაცნობისას გამოვლინდა სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: დაგეგმე,განახორციელე,შეაფასე და გადასინჯე. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე.

მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას,ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.
შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმისა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად,საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის გადასინჯვისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.1.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	
სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომონენტი 2.4	☐ შეესაბამება	

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	

2.1. კურიკულუმის შემუშავება(საბაზო საფეხური კათედრა)

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელი ნაწილია. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით პროცესი ზოგადი სახით მოიცავს 4 ფაზას: დაგეგმვა,განახორციელება,მონიტორინგი და რევიზია.ამ პრცესის განხორციელების მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრების (-მასწავლებლები, მშობლები,მოსწავლეები) მონაწილეობით. ამ ჯგუფის მიზანია საკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების და პრიორიტეტების გამოვლენა წინასწარ შემუშავებული კითხვარის

საფუძველზე. შედეგების ანალიზი გათვალისწინებული იქნება საბოლოო ვარიანტში,რომელიც მიიღება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.1. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კრიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.მეთოდოლოგიის მიხედვით საგნობრივი კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების დადგენა, შედეგები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. უპირატესობა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის აასკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთა გამოწვევებს, იწვევს ცნობისმოყვარეობას,აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეინარჩუნოს ინდივიდუალიზმი და იწვევდეს კმაყოფილების განცდას. IT ტექნოლოგიები აქტიურად გამოყენება სასწავლო პროცესში. რაც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მარტივი, მათთვის საინტერესო მეთოდებით მიიღონ ცოდნა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.2. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით.კერძოდ როგორც საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრის დროს დადასტურდა, პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი, ერთობლივად ადგენენ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს,ადგენენ თითოეული თემის გამხილვისას მოლოდინებს ცნებებთან მიმართებით.ამ მოლოდინების შეფასების საფუძველზე იმსჯელებენ მიღებულ შედეგზე და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას . სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების და ამის შედეგად გაცემული უკუკავშირის

დამადასტურებელი დოკუმენტები,ასევე დამატებით ინტერვიუს დროს მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგებმა ნათლად ისაუბრეს იმ პროცესებზე რაც კურიკულუმის შემუშავების დროს მიმდინარეობს, კერძოდ: იმართება პედაგოგთა შეხვედრები, სადაც ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ საკითხებს,მუშავდება კომპლექსური დავალებები,რომლებშიც ასახულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები შეხედულებები. რაც დასტურდება ინტერვიუს დროს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების დასახელებით .პროგრამა Geogebra კი ხელ უწყობს ტექნოლოგიების განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმობა შუალდური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.კერძოდ სკოლას გააჩნია ვებ-გვერდი,რომელიც დამუშავების პროცესშია და სექტემბრიდან მასზე განთავსდება საგნობრივი კურიკულუმები.ამ ეტაპზე დამრიგებლების მიერ ხდება ფეისბუქ ჯგუფებში მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა.ბარათებში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების,დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. გარდა ამისა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.4. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს(საბაზო საფეხური)

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმზიფო ენა

1.მტკიცებულებებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური

ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და **შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს

1.მათემატიკა

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. საგნობრივი კურიკულუმი დამუშავების პროცესშია, 7-9 კლასების კურიკულუმში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, განსასაზღვრია ქვეცნებები, დაგეგმილია პირველი თემა, საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ზუსტი წარმოდგენები ჩასატარებელ სამუშაოებზე, კურიკულუმი დაგეგმვის პროცესშია და ახალი სასწავლო წლისათვის საჭირო სახეს მიიღებს, კერძოდ ქვეცნებები გაიწერება, ხოლო კომპლექსური დავალების პირობები, მაგალითები შედარებისთვის და რესურსები დაზუსტდება.

1.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის რუსული და ინგლისური ენების (VII-IX) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს

მოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.კურიკულუმების დაგეგმვაში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის მიერ შესრულებულ საუშაოზე.კათედრას წარმოდგენილი აქვს მე-8 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი და დავალების ბარათი. დასკვნის სახით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

1.საბუნებისმეტყველო საგნები

სასკოლო საწავლო გეგმაში წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების პროცესში - სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.ასევე, წლიური პროგრამები / კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების მეშვეობით. სასწავლო თემა კი წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ, ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და საკითხების ურთიერთდკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი კი სწორედ მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურების თანამონაწილეობითი სასწავლო პროცესისკენ არის მიმართული.

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები მე-7, მე-8, მე-9 კლასებში. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. გეოგრაფიის მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმებში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების, გრძელვადიანი მიზნების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეობისა და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახოს იმ საკითხების ფარგლებში, რომლებიც კომპლექსური დავალებებით არ მუშავდება, სამიზნე ცნებების გააქტიურება, რათა გამოჩნდეს თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა.

1.ესთეტიკის კათედრა

კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას.საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე,ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს,მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და

ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას.

1.სპორტი

საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები - მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, მავნე ჩვევების პრევენცია.ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე. სკოლას მიეცა რჩევა, გავამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საბაზო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი, რაც დაწყებით საფეხურზე. საბაზო საფეხურის სამივე კლასში წარმოდგენილია ერთი და იგივე თემა - „მავნე ჩვევების პრევენცია“. კარგი იქნებოდა, განსხვავებული თემები შემოგვეთავაზევებინა სხვადასხვა კლასში, მაგ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიიდან, ან ოლიმპიური თამაშებიდან.

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდარტთან შესაბამისია

2.სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას,მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორ ხდება მაკროცნებების გააქტიურება სწავლა-სწავლების პროცესში. (მაგ. როცა მოსწავლე მუშაობს თხზულებაზე,ცხადია, აყალიბებს ნარატივს,ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება“) მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა,რომ გლობალურ-ფუნქციური უნარების გასავითარებლად ხშირად მიმართავენ არაფორმალურ აქტივობებს,სასწავლო -შემეცნებით პროექტებს(მაგ: პროექტი-ტრილოგია-,,მამული,ენა,სარწმუნოება“;ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კომპოზიცია-,,ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“) .მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე,ჩანს **შესაბამისობა** სტანდარტთან.

2.მათემატიკა

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები და აქვთ გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებსა და კურიკულუმებში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის გამოცდილება.

2.უცხო ენები

მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ გამოკვეთილი 6 ფუნქციურ კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია,შემოქმედებითობა,ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) განვითარებაზეა მიმართული.

კომლექსური დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე იკვეთება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება, მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროექტებში (სასწავლო პროექტი:"კულტურული მრავალფეროვნება" მე-9 კლასის მოსწავლეები), მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე (მე-8 კლ.განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათი, შეფასების რუბრიკა და მოსწავლის მიერ შექმნილი Powerpoint პრეზენტაცია), ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მუშაობის ანალიზის და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტს

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს, რის საფუძველზეც დაგეგმილია წლიური კურიკულუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო პროცესი იგეგმება სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმები და დაგეგმილი სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია კომპლექსური დავალებები. მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ა.შ.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმასა და წარმოდგენილ საგნობრივ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე და სტანდარტის შედეგებზე) ორიენტირებით.

2.ესთეტიკური აღზრდა

შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური თემები/ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე.მუსიკაში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი და სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები; საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი სხვა კლასების კურიკულუმები გვაფიქრებინებს რომ მასწავლებელს აქვს მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგვისა და განხორციელებისა.

2.სპორტი

საბაზო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.2. სტანდარტის შესაბამისია

3.სახელმზიფო ენა

სკოლაში განხორციელებული მოსწავლეთა საჭიროების კვლევის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო ენის კათედრის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს მათთვის მნიშვნელოვან მიგნებებზე, რაც დაეხმარათ კურიკულუმების შემუშავების პროცესში, რათა გაეთვალისიწინებინათ მოსწავლეთა ინტერესები, განსაკუთრებით საკითხების შერჩევის თვალსაზრისით. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ნათლად ასახავს თუ როგორ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლის მხარდაჭერის შესაბამის ხერხებს, საჭირო რესურსებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას.ამ მსჯელობიდან გამომდინარე,ინდიკატორი **შეესაბამება** სტანდარტს.

3.მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული

მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. წარმოდგენილიმტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, კომპლექსური დავალების ადაპტირების გამოცდილება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

3..უცხო ენები

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამოდინარე საბაზო საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.სასკოლო სასწავლო გეგმაშიგაწერილია საჭიროების შემთხვევაში გასატარებელი აქტივობები.

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავებას. ასევე მოსწავლეებისთვის მათთვის სასურველ ფორმატში დავალებების მიცემას და ცოდნის შემოწმებას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისების მიწოდების რეგულაციაზე.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებებისაზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ასევე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების

შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად სასკოლო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ და ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები და ხელი შეეწყობა მის პროგრესს.

3.სპორტი

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით.

4.სახელმწიფო ენა

გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ,რომ კათედრას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის გამოცდილება,მასწავლებლები შეფასებისას ხშირად იყენებდნენ

პრეზენტაციის, ჩართულობის,დისკუსიის,სხვადასხვა აქტივობის შეფასების ანალიტიკურ რუბრიკებს.გასაუბრებისას კათედრის წევრებმა მკაფიოდ ისაუბრეს შეფასების რა ინტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის, სწორედ ამ მიზნით,შექმნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შემდგომი პროგრესის ასახვის მიზნით.

4.მათემატიკა

წარმოდგენილ მტკიცებულებებში არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ესგ-ს შედეგების ტაქსონომიას და წარმოდგენას გვიქმნის სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოების წესზე, რაც აგრეთვე გვიჩვენებს სკოლაში უკვე არსებულ პრაქტიკას. შეფასება მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს.

4.უცხო ენები

4. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები უჩვენებს, რომ მოსწავლეთა შეფასება იწარმოება მკაფიო, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. შეფასება წარმოადგენს სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებას, ფასდება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესი, ისე მოსწავლეების მიღწევები. უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა ძირითადად ხორციელდება თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. განმავითარებელი შეფასებისთვის კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (რუბრიკები, დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ.) ახალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს კლასების მიხედვით, ყველა თემისთვის განსაზღვროს გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, ქვეცნებების და ქვესაკითხების მიხედვით შუალედური სასწავლო მიზანი.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, აღნიშნული რუბრიკები სამივე საგნის - გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის შემთხვევაში მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის დიზაინში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით საუბარია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება საგნების სწავლება და რა ინსტრუმენტები გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

4.სპორტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საბაზო საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი

კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი 2.1.2.4 სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც თავიანთი, ასევე, კოლეგების წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, მოსწავლეთა შედეგებსა და მიღწევებს პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ კათედრის სხდომებზე. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ხდება დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. ამ ინდიკატორში დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

5.მათემატიკა

წამოდგენილი მტკიცებულებებით(კათედრის ოქმები, ფორმსის კითხვარები) სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზისა და შედეგების გადაწყვეტილებებში გადატანის გამოცდილება, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავებისას სკოლას აქვს უნარი და გამოცდილება გაითვალისწინოს წინა წლების წარმატებული პრაქტიკა;

5.უცხო ენები

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დიდი ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რაც იდენტიფიცირებული იყო საგნის მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის, პედაგოგიური საბჭოს, შეფასების ჯგუფის ანგარიშებში, მასწავლებელთა რეფლექსიებში. წარმატებებისა და გამოწვევების შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი ხდებოდა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა, რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მე-8 კლასი, კომპლექსური დაავლება "შეწყვიტე ძალადობა"). ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, მაგ. უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები სკოლას ასახული აქვს სასკოლო კურიკულუმში და კვლავ გეგმავს 2023-2024 წლებში ამ დავალებებით მუშაობას.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება საკითხების შერჩევა, რომლებიც ისწავლება სასკოლო გეგმით

განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა).

5.ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ინდ. სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

5.სპორტი

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5. სტანდარტთან შესაბამისია

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს(საბაზო საფეხური)

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმზიფო ენა

1.მტკიცებულებებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის

მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და **შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს

1.მათემატიკა

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. 7-9 კლასების კურიკულუმში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, განსასაზღვრია ქვეცნებები, დაგეგმილია პირველი თემა, საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ზუსტი წარმოდგენები ჩასატარებელ სამუშაოებზე, კურიკულუმი დაგეგმვის პროცესშია და ახალი სასწავლო წლისათვის საჭირო სახეს მიიღებს, კერძოდ ქვეცნებები გაიწერება, ხოლო კომპლექსური დავალების პირობები, მაგალითები შედარებისთვის და რესურსები დაზუსტდება.

1.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის რუსული და ინგლისური ენების (VII-IX) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინეტერესებს, წინარე ცოდნას და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.კურიკულუმების დაგეგმვაში

ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის მიერ შესრულებულ საუშაოზე.კათედრას წარმოდგენილი აქვს მე-8 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი და დავალების ბარათი. დასკვნის სახით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

1.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები მე-7, მე-8, მე-9 კლასებში. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. გეოგრაფიის მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმებში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების, გრძელვადიანი მიზნების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეობისა და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახოს იმ საკითხების ფარგლებში, რომლებიც კომპლექსური დავალებებით არ მუშავდება, სამიზნე ცნებების გააქტიურება, რათა გამოჩნდეს თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა.

1. საბუნებისმეტყველო საგნები

1. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპების შესაბამისად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი მიდგომების რეალიზებას. ასევე, მხარდაჭერილია მოსწავლის ცოდნის გამოხატვის ფორმები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი ჩართულობის გაზრდა

1.ესთეტიკური აღზრდა

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში,სკოლის გვერდწე განთავსებულ სასწავლო პროექტებში. სასკოლო გეგმაში აღნიშნულია რომ მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, სკოლაში თითოეულ საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები,(მუზეუმბში,გალერეებში,საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებს შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

1.სპორტი

საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები - მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, მავნე ჩვევების პრევენცია.ყველა

თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1.სტანდარტთან შესაბამისია

2.სახელმწიფო კათედრა

სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას,მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორ ხდება მაკროცნებების გააქტიურება სწავლა-სწავლების პროცესში. (მაგ. როცა მოსწავლე მუშაობს თხზულებაზე,ცხადია, აყალიბებს ნარატივს,ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება“) მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა,რომ გლობალურ-ფუნქციური უნარების გასავითარებლად ხშირად მიმართავენ არაფორმალურ აქტივობებს,სასწავლო -შემეცნებით პროექტებს(მაგ: პროექტი-ტრილოგია- ,,მამული,ენა,სარწმუნოება“;ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კომპოზიცია-,,ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“) .მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე,ჩანს **შესაბამისობა** სტანდარტთან.

2.მათემატიკა

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები და აქვთ

გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებსა და კურიკულუმებში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის გამოცდილება.

2.უცხო ენები

მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ გამოკვეთილი 6 ფუნქციურ კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია,შემოქმედებითობა,ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) განვითარებაზეა მიმართული.

კომლექსური დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე იკვეთება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება, მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროექტებში (სასწავლო პროექტი:"კულტურული მრავალფეროვნება" მე-9 კლასის მოსწავლეები), მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე (მე-8 კლ.განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათი, შეფასების რუბრიკა და მოსწავლის მიერ შექმნილი Powerpoint პრეზენტაცია), ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მუშაობის ანალიზის და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტს

2.ესთეტიკური აღზრდა.

შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური თემები/ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კონსტრუქტივისტული პარადიგმა ასევე მოიაზრებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სწავლებას, რის შესახებაც არის საუბარი სასკოლო მეთოდოლოგიაში.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს, რის საფუძველზეც უნდა იყოს დაგეგმილი წლიური კურიკულუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო პროცესი იგეგმება სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით უნდა იყოს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები და დაგეგმილი სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის

მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია რამდენიმე საკითხის სწავლება კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ა.შ.

2.სპორტი

საბაზო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

სკოლაში განხორციელებული მოსწავლეთა საჭიროების კვლევის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო ენის კათედრის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს მათთვის მნიშვნელოვან მიგნებებზე, რაც დაეხმარათ კურიკულუმების დახვეწის პროცესში, რათა გაეთვალისიწინებინათ მოსწავლეთა ინტერესები, განსაკუთრებით საკითხების შერჩევის თვალსაზრისით. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ნათლად ასახავს თუ როგორ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ

მიდგომებს, მოსწავლის მხარდაჭერის შესაბამის ხერხებს, საჭირო რესურსებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას.ამ მსჯელობიდან გამომდინარე,ინდიკატორი **შეესაბამება** სტანდარტს.

3.მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, კომპლექსური დავალების ადაპტირების გამოცდილება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

3.უცხო ენები

საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. წარმოდგენილიმტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, კომპლექსური დავალების ადაპტირების გამოცდილება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

3.ესთეტიკური აღზრდა

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ასევე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად სასკოლო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ და ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები და ხელი შეეწყობა მის პროგრესს.

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ყოველივე აღნიშნული კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების საშუალებას იძლევა.

3.სპორტი

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით.

ინდიკტორი 2.2.1.3 სტანდარტთან შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

მოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ,რომ კათედრას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის გამოცდილება,მასწავლებლები შეფასებისას ხშირად იყენებდნენ პრეზენტაციის, ჩართულობის,დისკუსიის,სხვადასხვა აქტივობის შეფასების ანალიტიკურ რუბრიკებს.გასაუბრებისას კათედრის წევრებმა მკაფიოდ ისაუბრეს შეფასების რა ინტრუმენტების გამოყენებას აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის, სწორედ ამ მიზნით,შექმნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად.

4.მათემატიკა

წარმოდგენილ მტკიცებულებებში არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ესგ-ს შედეგების ტაქსონომიას და წარმოდგენას გვიქმნის სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოების წესზე, რაც აგრეთვე გვიჩვენებს სკოლაში უკვე არსებულ პრაქტიკას. შეფასება მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს.

4.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები უჩვენებს, რომ მოსწავლეთა შეფასება იწარმოება მკაფიო, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. შეფასება წარმოადგენს სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებას, ფასდება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესი, ისე მოსწავლეების მიღწევები. უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა ძირითადად ხორციელდება თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. განმავითარებელი შეფასებისთვის კათედრის წევრები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (რუბრიკები, დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ.) ახალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს კლასების

მიხედვით, ყველა თემისთვის განსაზღვროს გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, ქვეცნებების და ქვესაკითხების მიხედვით შუალედური სასწავლო მიზანი.

ინდიკატორთან მიმართებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.ესთეტიკური აღზრდა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს.სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ სკოლაში კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.)ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ.

ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელიშფასების რუბრიკები.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, აღნიშნული რუბრიკები სამივე საგნის - გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის შემთხვევაში მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს.

4.სპორტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საბაზო საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი 2.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც თავიანთი, ასევე, კოლეგების წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, მოსწავლეთა შედეგებსა და მიღწევებს პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ კათედრის სხდომებზე. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ხდება დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. ამ ინდიკატორში დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

5.მათემატიკა

წამოდგენილი მტკიცებულებებით(კათედრის ოქმები, ფორმსის კითხვარები) სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზისა და შედეგების გადაწყვეტილებებში გადატანის გამოცდილება, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას სკოლას ითვალისწინებს წინა წლების წარმატებული პრაქტიკას.

5.უცხო ენები

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დიდი ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რაც იდენტიფიცირებული იყო საგნის მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის, პედაგოგიური საბჭოს, შეფასების ჯგუფის ანგარიშებში, მასწავლებელთა რეფლექსიებში. წარმატებებისა და გამოწვევების შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი ხდებოდა სხვადასხვა

წყაროზე დაყრდნობით. სკოლაში არის პრაქტიკა დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ერთობლივად განხილვისა, რომლის დროსაც ხდება მიღწევების გაზიარება და პრობლემების გამოკვეთა (მაგ. მე-8 კლასი, კომპლექსური დაავლება "შეწყვიტე ძალადობა"). ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, მაგ. უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები სკოლას ასახული აქვს სასკოლო კურიკულუმში და კვლავ გეგმავს 2023-2024 წლებში ამ დავალებებით მუშაობას. კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე და ორგანიზებაზე.

5.ესთეტიკური აღზრდა.

წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ინდ. სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

5.სპორტი

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების

გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.2.1.5.შეესაბამება სტანდარტს.კურიკუ ლუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.(საბაზო საფეხური)

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის კათედრის მასალებიდან და მასწავლებლებთან ინტერვის შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე (I-VI) კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეების მიერ გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.აქედან გამომდინარე,დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან. ამ ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომებით ხორციელდება. კერძოდ, კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსური ბუნების დავალებებში და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

1.მათემატიკა

მტკიცებულების სახით წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სრულად არის გაწერილი თემები, დაგეგმილი თემებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიხედვით. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასტან დაკავშირებით. თემატური დაგეგმვისას მნიშვნელოვანია საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებას/მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირების სწორი ასახვა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რაც დასტურდება თემატური მატრიცებითა და მოსწავლეების ნამუშევრებით;

1.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებებლთა ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით. შუალედური სასწავლო მიზნები ამუშავებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების,

შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის. ვლინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

1.საბუნებისმეტყველო საგნები

კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად.

1.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი დიდწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. რომლებიც მუშავდება შუალედური სასწავლო მიზნებით, კომპლექსური დავალებებით. მნიშვნელოვანია ყველა საკითხების შემთხვევაში მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავებას მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში.

1.ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლების პორტფოლიოებში,კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

1.სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის სამივე საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტოვობების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტთან შესაბამისია

2.სახლემწიფო ენა

შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი , არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.ქართულ ენასა და ლიტერატურაში დავალებები იმგვარადაა შერჩეული,რომ ხელს უწყობს მოსწავლის თვითგამოხატვის,სოციო-ემოციური უნარების განვითარებას.ინტერვიუს დროს

მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების გასიტყვების პროცესში რამდენად მნიშნელოვანი იყო მათთვის მოსწვალის უკუკავშირი დავალებაზე მუშაობის თვალსაზრისით, რომლის საფუძველზეც გამოჰქონდათ გარკვეული დასკვნები ,თუ რა გაუჭირდა მოსწვალეს და რა იყო მათი მხრიდან დაძლეული. ამ ინდიკატორში დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან

2.მათემატიკა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში კომპლექსურ დავალებებს ან თემების შესწავლისას დავალებებს არჩევენ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, კურიკულუმზე და თემატურ მატრიცებზე მუშაობისას სწორედ ესაა მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

2.უცხო ენები

.შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითრება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა, პასუხისმგებლობა და ხელს უწყობს ამ ცოდნისა თუ

უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ეს ჩანს მოსწავლეების დავალებში, შეფასების რუბრიკებსა და ანალიზებში, არაფორმალურ აქტივობებში.

დასტურდება სტანდარტის ინდიკატორთან შესაბამისობა.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის ფილოსოფიიის მიხედვით, მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარება არის პრიორიტეტი. კონსტრუქრივისტული სწავლების პრინციპების დანერგვა განიხილება ამ პრორიტეტებთან მიმართებაში.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

2.ესთეტიკური აღზრდა

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე სკოლა მოსწალეებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებასხელოვნებისა და მუსიკის წრეების სახით, ახორციელებს სოციალურ პროექტებს(,მტკიცებულება-სკოლის გვერზე წარმოდგენილი პროექტები) რაც ხელს უწყობსმოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

2.სპორტი

სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2.სტანდარტთან შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცეში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია.რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ მასწავლებლებთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების, როგორც პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, ამოცანები. მტკიცებულებებში წარმოდგენილი მატემატიკაში განმავითარებელი შეფასების ნიმუში ადასტურებს, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები მოსწავლის შეფასების მნიშვნელობასა და ამოცანებზე;

3.უცხო ენები

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტრურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება, ზეპირი და/ან წერილობითი უკუკავშირი. შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში საუბარია სკოლის მისიის შესახებ, რაც გულისხმობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპი შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები მოქალაქეობისა და ისტორიის საგანებში, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. სკოლა ასევე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად.

3.ესთეტიკური აღზრდა

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში,ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა განმავითარებელი კომენტარებით,ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ

შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

3.სპორტი

ინტრვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზესამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და, მათ შორის, მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით.

ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტიკიცებულ ვარიანტში გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება სანდო და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის

შეფასება მდგრადი და რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

4.მათემატიკა

თვითშეფასებაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ ახალი სასწავლო წლიდან შეფასების სანდოობის გასაზრდელად გეგმავს ახალი ინსტრუმენტების დანერგვას. სკოლას აქვს საკმაოდ საინტერესო მოქმედი შეფასების ინსტრუმენტები და შეფასეია ანალიზის გარკვეული გამოცდილება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას სეფასების სისტემის სანდოობის გასაზრდელად თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით. მნიშვნელოვანია სკოლამ გააგრძელოს ინტენსიური საქმიანობა ამ მიმარტულებიტ და სრულყოს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის შემოწმების მექანიზმები.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს,რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. თუმცა იგეგმება შეფასების მეორე მოდელზე გადასვლა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია , როგორ ხდება კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებასაც გეგმავს კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება სანდო და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება მდგრადი და რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

4.ესთეტიკური აღზრდა

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

როგორც პედაგოგებმ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, უმაღლეს განათლებაში, სამუშაო ადგილზე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელბსაც სკოლა გამოიყენებს

პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

5.მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

5.ესთეტიკური აღზრდა

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ სკოლა 2023-2024 სასწალო წელს შექმნის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტთან შესაბამისია

6.სახელმწიფო ენა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.მათემატიკა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.ესთეტიკური აღზრდა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.სპორტი

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორი 2.2.2.6.სტანდარტთან შესაბამისია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით,ისე ვიზიტის დროს გარემოს დათვალიერებით.სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა,რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. პოზიტიურ გარემოში ხდება უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება.სკოლის ბიბლიოთეკა და სკოლის ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.სკოლის მისიაში გაწერლია მოსწავლის აკადემიური შეფასების წესი,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის განვითარები გზა. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.**ინდიკატორი 2.2.3.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა,განხორციელებული პროექტები,რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. კათედრის წევრების ფართო ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება და საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალურ , ასევე

არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად სკოლა კონკტერული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას..კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული რესურსი ზოგადად და არ იყო მითითებული შესაბამისი ბმულები თუმცა პრობლემა მოგვარდა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე. ქიმიის პედაგოგებმა წარმოადგინეს კურიკულუმის რედაქტირებული ვერსია.**ინდიკატორი 2.2.3.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას,რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით,თუ პროექტებით.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს.ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022-2023 სასწავლო წლის გაანალიზება და შედეგების სფუძველზე პროექტის რევიზია.**ინდიკატორი 2.2.3.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში.კერძოდ შეფასების სისტემა,როგორც განმავითარებელი,ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად,ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.სკოლას შემუშავებულია აქვს ადაპტაციის წესი,რომლის საპედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში.

სწავლა სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. დირექციის მიერ კარგად არის აწყობილი დელეგირების პროცესი რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლაში ხშირია ერთობლივი ღონისძიებები / პროექტები, გუნდური მუშაობის პრინციპი და ღიაობა ერთ-ერთი დასაფასებელი კრიტერიუმია. სკოლა განაგრძობს აქცენტირებას პოზიტიური სასწავლო კლიმატის გასავითარებლად, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვაკვლავა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებიში მიკუთცვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირების ნაწილში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში **ინდიკატორი 2.2.3.4.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართი N 102 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დანართი N117 კურიკულუმი
დანართი N124 მატრიცა
დანართი N142 ინტეგრირებული გაკვეთილი
დანართი N 143 თვითმმართველობის ოქმი
დანართი N 153 ქიმიის განახლებული კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდლოგია, 2023 – 2024 სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სრულად ამ მეთოდოლოოგიის შესაბამისად. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი. ამ ეტაპზე სკოლაში კომპლექსური დავალებების შერჩევა, კოორდინირებულად მიმდინარეობს პარალელურ კლასში. მოსწავლეთა შედეგებს ერთობლივად განიხილავენ საგნის მასწავლებლები, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული

მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა დაფუძნებულია მხარდაჭერის პრინციპებზე. აღნიშნული ჯგუფი ესწრება კათედრის წევრებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს. ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. სკოლა გეგმავს კითხვარის მომზადებას პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და კითხვარის საფუძველზე ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად SWOT ანალიზის მეთოდის გამოყენებას, რის შემდგომაც სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს შესაბამის ცვლილებებს.**ინდიკატორი 2.3.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა,ამ პროცესის შედეგად შედეგად მათ ეძლევათ არგუმენტირებული უკუკავშირი. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი უკუკავშირის გაცემის შემდგომ გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აფასებს, თუ რამდენად გაითვალისწინა პედაგოგმა რეკომენდაციები.შესაბამისად, სწორად გაცემული რეკომენდაციები, ასევე მიმღებლობა მასწავლებლების მხრიდან, განვითრების კარგი საშუალებაა.მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას , მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. როგორც გასაუბრების შედეგად გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება, რომლისთვისაც სკოლის დონეზე მზადდება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. საიაგნოსტიკო შეფასებები ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (დეკემბერი, მაისი).**ინდიკატორი 2.3.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3. სასწავლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად , რომელსაც ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და გასავითარებელ მხარეებს, ასევე კათედრებზე ურთიერთანამშრომლობის შედეგად მასწავლებებლი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე , სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ

შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

ინდიკატორი 2.3.1.3.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 127 ხარისხის განვითარების ჯგუფის უკუკავშირი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლთა მუდმივ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო

პროცესზე. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, შეფასების დიზაინის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ხედვა. **ინდიკატორი 2.3.2.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა უკუკავშირების გათვალისწინებით, კომპლესური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით,ასევე სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას., რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. როგორც პირადი შეხვედრებიდან გამოიკვეთა მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე.**ინდიკატორი 2.3.2.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს,რაოდენობრივი კველევის მეთოდების საშუალებით, ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - ჩაღმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება, ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას დაინერგოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა. **ინდიკატორი 2.3.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.როგორც სასოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,ამ ეტაპზე სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე.**ინდიკატორი 2.3.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 144 თვითშეფასების რუბრიკა

დანართი N128განმავითარებელი შეფასება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მეთოდოლოგიის საფუძველზე დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი,რომლის მიზანია კურიკულუმის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ,წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გამოვლენილი პრობლემის თუ წარმატების გაანალიზრბის შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი,რომლის საფუძველზე მოხდება სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება და განვითარება საგნობრივი კათედრების ფრაგლებში.**ინდიკატორი 2.4.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**
2..როგორც საგნობრივი ექსპერტებთან. კათედრის წევრების გასაუბრების დროს და 2023-2024 სასკოლო გეგმის პროექტის გაცნობისას გამოვლინდა სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: დაგეგმე,განახორციელე,შეაფასე და გადასინჯე. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას,ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.

შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმისა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად,საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის გადასინჯვისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.1.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**	

	(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	
სასკოლო კურიკულუმი -საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	

2.1. კურიკულუმის შემუშავება(საშუალო საფეხური)

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელი ნაწილია. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით პროცესი ზოგადი სახით მოიცავს 4 ფაზას: დაგეგმვა,განახორციელება,მონიტორინგი და რევიზია.ამ პრცესის განხორციელების მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრების (-მასწავლებლები, მშობლები,მოსწავლეები) მონაწილეობით. ამ ჯგუფის მიზანია საკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების და პრიორიტეტების გამოვლენა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. შედეგების ანალიზი გათვალისწინებული იქნება საბოლოო ვარიანტში,რომელიც მიიღება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.1. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კრიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.მეთოდოლოგიის მიხედვით საგნობრივი კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების დადგენა, შედეგები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. უპირატესობა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის აასკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთა გამოწვევებს, იწვევს ცნობისმოყვარეობას,აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეინარჩუნოს ინდივიდუალიზმი და იწვევდეს კმაყოფილების განცდას. IT ტექნოლოგიები აქტიურად გამოყენება სასწავლო პროცესში. რაც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მარტივი, მათთვის საინტერესო მეთოდებით მიიღონ ცოდნა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.2. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით.კერძოდ როგორც საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრის დროს დადასტურდა, პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი, ერთობლივად ადგენენ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს,ადგენენ თითოეული თემის გამხილვისას მოლოდინებს ცნებებთან მიმართებით.ამ მოლოდინების შეფასების საფუძველზე იმსჯელებენ მიღებულ შედეგზე და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას . სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების და ამის შედეგად გაცემული უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები,ასევე დამატებით ინტერვიუს დროს მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგებმა ნათლად ისაუბრეს იმ პროცესებზე რაც კურიკულუმის შემუშავების დროს მიმდინარეობს, კერძოდ: იმართება პედაგოგთა შეხვედრები, სადაც

ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ საკითხებს,მუშავდება კომპლექსური დავალებები,რომლებშიც ასახულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები შეხედულებები. რაც დასტურდება ინტერვიუს დროს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების დასახელებით .პროგრამა Geogebra კი ხელ უწყობს ტექნოლოგიების განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმობა შუალდური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.კერძოდ სკოლას გააჩნია ვებ-გვერდი,რომელიც დამუშავების პროცესშია და სექტემბრიდან მასზე განთ

ავსდება საგნობრივი კურიკულუმები.ამ ეტაპზე დამრიგებლების მიერ ხდება ფეისბუქ ჯგუფებში მშობლებისთვის ბარათების გაგზავნა.ბარათებში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების,დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. გარდა ამისა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.4. სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებე

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი N117 კომპლექსური დავალებები

დანართი N119 განმავითარებელი შეფასება

დანართი N129 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

დანართი N146 საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს(საშუალო საფეხური)

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სახემწიფო ენა

1.სახელმწიფო ენის კათედრამ ავტორიზაციის პროცესში საშუალო საფეხურზე წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული ქართული ენისა და ლიტერატურის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო..წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს მოსწავლის ცოდნის კონსტურირების პროცესს და ინდიკატორით დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან **შესაბამისობა**

1.მათენატიკა

საშუალო საფეხურის კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი პირობა. 10 და 12 კლასების კურიკულუმში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, განსასაზღვრია ქვეცნებები, დაგეგმილია პირველი თემა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ზუსტი წარმოდგენები ჩასატარებელ სამუშაოებზე, კურიკულუმი დაგეგმვის პროცესშია და

ახალი სასწავლო წლისათვის საჭირო სახეს მიიღებს, კერძოდ ქვეცნებები გაიწერება, ხოლო კომპლექსური დავალების პირობები, მაგალითები შედარებისთვის და რესურსები დაზუსტდება .

1.უცხო ენები

უცხოური ენების კათერდამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მეტწილად შესაბამისი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების გათვალისწინებით. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნებად და მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. წარმოდგენილია კურიკულუმები ინგლისური ენის მე-10 და რუსული ენის მე-12 კლასისთვის.

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიის, საქართველოს ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები მე-10 კლასში. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების

დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. გეოგრაფიის მე-10 კლასის კურიკულუმში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების, გრძელვადიანი მიზნების დამუშავება.

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო საწავლო გეგმაში წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების პროცესში - სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.ასევე, წლიური პროგრამები / კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების მეშვეობით. სასწავლო თემა კი წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ, ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და საკითხების ურთიერთდკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი კი სწორედ მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურების თანამონაწილეობითი სასწავლო პროცესისკენ არის მიმართული.

1.ესთეტიკის კათედრა

კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას.საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე,ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს,მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას.

1.სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე. ყველა სპორტის სახეობის მიხედვით წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები (თეორიული - გზამკვლევები და პრაქტიკული - ვარჯიშების მაგალითები). სკოლას მიეცა რჩევა, გავამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საშუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი, რაც დაწყებით და საბაზო საფეხურებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდართან შესაბამისობაშია

2.სახელმწიფო ენა

კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებით. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.რაც გამოიხატება განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებში,არაფორმალურ აქტივობებში.დასტურდება **შესაბამისობა** ინდიკატორთან.

2.მათემატიკა

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები და აქვთ გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ პროექტებსა და კურიკულუმებში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის გამოცდილება.

2.უცხო ენები

წარმოდგენილი კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ გამოკვეთილი 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია,შემოქმედებითობა,ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) ფორმირებაზეა აქცენტირებული.

ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმასა და წარმოდგენილ საგნობრივ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება [illegible] .

შექ ნილი ბი აგნობრი და ოთ ოვნებს

გათვალის ი ებულ გრძელვადიან კურიკულუმებში

სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები გვაფიქრებინებს რომ მასწავლებელს აქვს მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგვისა და განხორციელებისა.

2.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს, რის საფუძველზეც უნდა იყოს დაგეგმილი წლიური კურიკულუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო პროცესი იგეგმება სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით უნდა იყოს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები და დაგეგმილი სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია რამდენიმე საკითხის სწავლება კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ა.შ.

2.სპორტი

საბაზო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.2. სტანდარტის შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერა სწავლების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. მასწავლებლები აღნიშნავენ,რომ მხარდაჭერა განსაკუთრებით პრიორიტეტულია ამ საფეხურზე, მოსწავლეებისათვის შექმნილია თავისუფალი გარემო,სადაც მოსწავლეებს საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად,მათი ინტერესებიდან გამომდინარე, განიხილავენ ფილმებს,მხატვრულ ლიტერატურას,მსჯელობენ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე. შემუშავებული აქვთ დიფერენცირებული მიდგომის აქტივობები სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის(მაგ: ,,სასწავლო მენიუ“) სასწავლო პროცესში მიმართავენ ჯგუფური და წყვილური მუშაობის ფორმებს.დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

3.მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, კომპლექსური დავალების ადაპტირების გამოცდილება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

3.უცხო ენები

კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავებას. ასევე მოსწავლეებისთვის მათთვის სასურველ ფორმატში დავალებების მიცემას და ცოდნის შემოწმებას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისების მიწოდების რეგულაციაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამოდინარე საშუალო საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

.3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მსჯელობისას ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების შემუშავებას. ასევე მოსწავლეებისთვის მათთვის სასურველ ფორმატში დავალებების მიცემას და ცოდნის შემოწმებას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისების მიწოდების რეგულაციაზე.

3.ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკისა და ხელოვნებაში საშუალო საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში არის პროექტული სწავლება რაც ითვალისწინებს ამ ტიპის მიდგომებს.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ასევე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად სასკოლო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ და ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები და ხელი შეეწყობა მის პროგრესს.

3.სპორტი

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს.სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ სკოლაში კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის,

ინფორმაციის მოძიების და ა.შ.)ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ.

ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელიშფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.1.2.3 სატანდარტის შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. მე-10 კლასში, დანართის სახით(დანართი.148) წარმოდგენილია განმავითარებელი კომენტარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ უნდა შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,როგორ გარდაქმნან ცნებათა მკვიდრი წარმოდგენების ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად.ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ინდიკატორით დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

4.მათემატიკა

წარმოდგენილ მტკიცებულებებში(მაგ. დანართი #54 - პროექტის გეგმა) არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ესგ-ს შედეგების ტაქსონომიას და წარმოდგენას გვიქმნის სკოლაში შეფასების წარმოების წესზე და აგრეთვე გვიჩვენებს სკოლაში უკვე არსებულ პრაქტიკას. შეფასება მიემარტება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას.

4.უცხო ენები

უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმნეტაციის შესწავლის შედეგები უჩვენებს, რომ მოსწავლეთა სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელი პროცესია. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას.შეფასება იწარმოება მკაფიო, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასება განიხილება როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალება, ფასდება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესი, ისე მოსწავლეების მიღწევები. უცხოური ენების კათედრას შემუშავებული აქვს განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. მომდევნო სასწავლო წლისთვის არჩეული იქნა განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. 2023 წლის სექტემბრამდე კათედრა გეგმავს კლასების მიხედვით, ყველა თემისთვის განსაზღვროს გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, ქვეცნებების და ქვესაკითხების მიხედვით შუალედური სასწავლო მიზანი.

4.ესთეტიკური აღზრდა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს.სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ სკოლაში კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.)ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ.

ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელიშფასების რუბრიკები.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის დიზაინში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით საუბარია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება საგნების სწავლება და რა ინსტრუმენტები გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, აღნიშნული რუბრიკები სამივე საგნის - გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის შემთხვევაში მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს.

4.სპორტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საშუალო საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი 2.1.2.4.სტანდარტთან შესაბამის

5.სახელმწიფო ენა

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ,რომ სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ჯგუფი ეფუძნებასაუკეთესო პრაქტიკის გაზირებას,გაკვეტილზე დასწრებასა და კოლეგების შეფასებას,კონსტრუქციულ უკუკავშირს,თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას,ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.მათემატიკა

წამოდგენილი მტკიცებულებებით(კათედრის ოქმები, ფორმსის კითხვარები) სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზისა და შედეგების გადაწყვეტილებებში გადატანის გამოცდილება, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავებისას სკოლას აქვს უნარი და გამოცდილება გაითვალისწინოს წინა წლების წარმატებული პრაქტიკა; გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნისნეს, რომ მათემატიკისკათედრაზე მაღალია თანამშრომლობის კულტურა და ერტობლივი დაგეგმავა/ანალიზი გავრცელებული პრაქტიკაა

5.უცხო ენები

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული წარმატებული გამოცდილება, მიგნებები და გამოწვევები. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, უცხოური ენების კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ თვითრეფლექსიას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უკავშირდება წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება საკითხების შერჩევა, რომლებიც ისწავლება სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა).

5.ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ინდ. სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და გეგმავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას. სასურველია, კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და

5.სპორტი

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5.სტანდარტთან შესაბამისია

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს(საშუალო საფეხური)

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახემწიფო ენა

1.სახელმწიფო ენის კათედრამ ავტორიზაციის პროცესში საშუალო საფეხურზე წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული ქართული ენისა და ლიტერატურის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო.მე-11 და12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოები ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია.წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს მოსწავლის ცოდნის კონსტურირების პროცესს და ინდიკატორით დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან **შესაბამისობა**

1.მათემატიკა

საშუალო საფეხურის კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ ესგ-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის განმსაზღვრელი სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ

აქვთ ზუსტი წარმოდგენები ჩასატარებელ სამუშაოებზე, კურიკულუმი დაგეგმვის პროცესშია და ახალი სასწავლო წლისათვის საჭირო სახეს მიიღებს, კერძოდ ქვეცნებები გაიწერება, ხოლო კომპლექსური დავალების პირობები, მაგალითები შედარებისთვის და რესურსები დაზუსტდება .

1.უცხო ენები დავალებები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც გაუადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას, სწავლის პროცესში მოსწავლე თანამშრომლობს თანატოლებთან, შეფასება ხდება მრავალფეროვანი ფორმით, იგი იღებს და თავადაც გასცემს უკუკავშირს.მე-10 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება მოსწავლის წერილი საბა იშხნელის მიმართ ბაგრატ კურაპალატის ნაცვლად თავისთავად მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას მოიაზრებს,გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ კომპლექსური ბუნების დავალებებს მე-12 კლასშიც სთავაზობენ მოსწავლეებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს, რომ მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობას და დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიის, საქართველოს ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები მე-10 კლასში. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. გეოგრაფიის მე-10 კლასის კურიკულუმში თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მოაზრებულია ყველა სამიზნე ცნების, გრძელვადიანი მიზნების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეობის, ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებშიც

აისახოს იმ საკითხების ფარგლებში, რომლებიც კომპლექსური დავალებებით არ მუშავდება, სამიზნე ცნებების გააქტიურება, რათა გამოჩნდეს თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა.

1. საბუნებისმეტყველო საგნები

1. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპების შესაბამისად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი მიდგომების რეალიზებას. ასევე, მხარდაჭერილია მოსწავლის ცოდნის გამოხატვის ფორმები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი ჩართულობის გაზრდას.

1.ესთეტიკური აღზრდა

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში,სკოლის გვერდწე განთავსებულ სასწავლო პროექტებში. სასკოლო გეგმაში აღნიშნულია რომ მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, სკოლაში თითოეულ საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები,(მუზეუმბში,გალერეებში,საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებს შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

1.სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე. ყველა სპორტის სახეობის მიხედვით წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები (თეორიული - გზამკვლევები და პრაქტიკული - ვარჯიშების მაგალითები). სკოლას მიეცა რჩევა, გავამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საშუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი, რაც დაწყებით და საბაზო საფეხურებზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 სამივე საფეხურის შემთხვევაში სტანდართან შესაბამისობაშია

2.სახელმწიფო ენა

კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებით. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.რაც გამოიხატება განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებში,არაფორმალურ აქტივობებში.დასტურდება **შესაბამისობა** ინდიკატორთან.

2.მათემატიკა

თუმცა წარმოდგენილი კურიკულუმები დამუშავების პროცესშია, მაგრამ დაგეგმილი ნაწილებიდან ჩანს, რომ იგი იძლევა ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები და აქვთ გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ პროექტებსა და კურიკულუმებში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის გამოცდილება.

2.უცხო ენამასწავლებლები სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა აქტიური ჩართვისათვის იყენებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც გამოიკვეთა, როგორც ავტორიზაციის დოკუმენტებში, ასევე ინტერვიუს დროს. კურიკულუმებში წარმოჩენილი კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლეს უბიძგებს ფიქრისკენ, რაც თავისთავად დასამუშავებელი საკითხის მიმართ ინტერესს იწვევს. დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

2.ესთეტიკური აღზრდა

შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს

სავალდებულო თემატური თემები/ბლოკები, საბაზო საფეხურის მე 8 და მე 9 კლასებში არ არის გათვალისწინებული საგნის საათობრივი ბადე წლის განმავლობაში დაგეგმილია 6-7 კომპლექსური დავალება,რომლის განხორციელებაც შეუძლებელია.პედაგოგებთან ინტერვიურებისას განვიხილეთ ეს საკითხი და მიცემული რჩევების შედეგად იქნება დაკორექტირებული ახალი სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. საფეხურზე წარმოდგენილი სხვა კლასების კურიკულუმები გვაფიქრებინებს რომ მასწავლებელს აქვს მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგვისა და განხორციელებისა.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კონსტრუქტივისტული პარადიგმა ასევე მოიაზრებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სწავლებას, რის შესახებაც არის საუბარი სასკოლო მეთოდოლოგიაში.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს, რის საფუძველზეც უნდა იყოს დაგეგმილი წლიური კურიკულუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო პროცესი იგეგმება სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით უნდა იყოს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები და დაგეგმილი სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის

მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიის მე-10 კლასის საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია საკითხების სწავლება კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმშიც სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყოს სავალდებულო თემების მიხედვით, პირველ გრაფაში გამოკვეთეთ თემები და არა შესასწავლი საკითხები, მაგ. მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმის შემთხვევაში პირველ გრაფაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამი სავალდებულო თემა: პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი; ანტიკური ხანა (ახ.წ. III საუკუნემდე); გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე). მე-10 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში ორი სავალდებულო თემა სწორად არის მითითებული, მაგრამ საერთოდ არ არის წარმოდგენილი მესამე სავალდებულო თემა - საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე). ასევე, მოქალაქეობის საგანში კურიკულუმის ჩარჩოს პირველ გრაფაში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ორი სავალდებულო თემა: გლობალური მოქალაქეობა, სამართლებრივი კულტურა. საკითხი/საკითხთა კლასტერის გრაფაში მიუთითეთ მოცემული სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი ძირითადი საკითხები, ისე რომ მოიაზროთ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება, მიუხედავად იმისა ამუშავებთ თუ არა ამ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებებით.

2. სპორტი

საშუალო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.2.სტანდარტთან შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. მე-10 კლასში, დანართის სახით(დანართი.148) წარმოდგენილია განმავითარებელი კომენტარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ უნდა შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,როგორ გარდაქმნან ცნებათა მკვიდრი წარმოდგენების ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად.ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ინდიკატორით დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

3.მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, კომპლექსური დავალების ადაპტირების გამოცდილება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

3.უცხო ენები

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ საშუალო საფეხურზე (X-XII) სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით.აქცენტი თავისთავად მიმართულია სწავლა-სწავლების პროცესის ღირებულების გააზრებისაკენ და დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას კომპლექსური დავალებებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ასევე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად სასკოლო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ და ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები და ხელი შეეწყობა მის პროგრესს.

3.სპორტი

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით. თუმცა, წარმოდგენილ კურიკულუმებისა და კომპლექსურ დავალებების საფუძველზე ვერ ვადგენ, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს, თუ არა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასურველი იქნება, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი 2.2.1..3. სტანდარტთან შესაბამისია

4.უცხო ენებიცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საშუალო საფეხურის მიერ წარმოდგენილ საშუალო საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. მასალებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაცროგორც ჩანს, მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ გარკვეული უნარები (პროცედურული ცოდნა). ჩართულნი არიან სასკოლო პროექტებში,სხვადასხვა კონკურსებში.დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, აღნიშნული რუბრიკები სამივე საგნის - გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის შემთხვევაში მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს.

4.ესთეტიკური აღზრდა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს.სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ სკოლაში კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.)ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ.
ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა

განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელიშფასების

რუბრიკები.

4.სპორტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საბაზო საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

4.სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. მე-10 კლასში, დანართის სახით(დანართი.148) წარმოდგენილია განმავითარებელი კომენტარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ უნდა შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,როგორ გარდაქმნან ცნებათა მკვიდრი წარმოდგენების ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად.ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ინდიკატორით დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან

4.მათემატიკა.

წარმოდგენილ მტკიცებულებებში(მაგ. დანართი #54 - პროექტის გეგმა) არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ესგ-ს შედეგების ტაქსონომიას და წარმოდგენას გვიქმნის სკოლაში შეფასების წარმოების წესზე და აგრეთვე გვიჩვენებს სკოლაში უკვე არსებულ პრაქტიკას. შეფასება მიემარტება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტში შემოთავაზებულ თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსურ დავალებაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ფარავს და ამუშავებს გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ,რომ სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ჯგუფი ეფუძნებასაუკეთესო პრაქტიკის გაზირებას,გაკვეტილზე დასწრებასა და კოლეგების შეფასებას,კონსტრუქციულ უკუკავშირს,თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას,ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.მათემატიკა

წამოდგენილი მტკიცებულებებით(კათედრის ოქმები, ფორმსის კითხვარები) სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზისა და შედეგების გადაწყვეტილებებში გადატანის გამოცდილება, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ახალი კურიკულუმის შემუშავებისას სკოლას აქვს უნარი და გამოცდილება გაითვალისწინოს წინა წლების წარმატებული პრაქტიკა; გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნისნეს, რომ მათემატიკისკათედრაზე მაღალია თანამშრომლობის კულტურა და ერტობლივი დაგეგმავა/ანალიზი გავრცელებული პრაქტიკაა

5.უცხო ენები-სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება რაც დასტურდება საშუალო საფეხურის კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე და ახალი პროდუქტის შემქნაზე ყველა ეს აქტივობა უზრუნველყოფს მოსწავლის გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას და დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და გეგმავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას. სასურველია, კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების დრო გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე და ორგანიზებაზე.

5.ესთეტიკური აღზრდა.

წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ინდ. სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

5.სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტს

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.(საშუალო საფეხური)

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის კათედრის მასალებიდან და მასწავლებლებთან ინტერვის შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე (I-VI) კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეების მიერ გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.აქედან გამომდინარე,დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან. ამ ცოდნისკენ სვლა მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომებით ხორციელდება. კერძოდ, კათედრის

მიერ შემუშავებულ კომპლექსური ბუნების დავალებებში და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

1.მათემატიკა

მტკიცებულების სახით წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სრულად არის გაწერილი ერთი თემა მაინც. დაგეგმილი თემებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, მეხუთე კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები არ არის გაწერილი, ხოლო მეექვსე კლასის კურიკულუმში საჭიროა ქვეცნებების გაწერა, თუმცა ზოგადად წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სკოლა საგნის სწავლებას გეგმავს საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიხედვით. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმები დამუშავების პროცესშია და საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასტან დაკავშირებით. თემატური დაგეგმვისას მნიშვნელოვანია საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებას/მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირების სწორი ასახვა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რაც დასტურდება თემატური მატრიცებითა და მოსწავლეების ნამუშევრებით;

1.უცხო ენები

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ ჩანს მთავარი ორინეტირები- სამიზნე ცნებები, მათი დაზუსტების საშულებას მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა, რადგან დავალებები მოიცავს საკითხის

დონეზე დაზუსტებულ მკვიდრ წარმოდგენებს, კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსური ბუნების დავალებებში და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ,რომ მასწავლებლებს აქვთ სასწავლო პროცესის სწორი და გააზრებული ხედვა. ინდიკატორით დასტურდება **შესაბამისობა** სტანდარტთან

1.საბუნებისმეტყველო საგნები

კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად.

1.საზოგადოებრივი მეცნიერერბები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი დიდწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. რომლებიც მუშავდება შუალედური სასწავლო მიზნებით, კომპლექსური დავალებებით. მნიშვნელოვანია ყველა საკითხების შემთხვევაში მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავებას მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა

სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება.

1.ესთეტიკური აღზრდა

მასწავლებლების პორტფოლიოებში,კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

1.სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის სამივე საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტოვობების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტთან შესაბამისია

2.სახლემწიფო ენა

შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი , არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.ქართულ ენასა და ლიტერატურაში დავალებები იმგვარადაა შერჩეული,რომ ხელს უწყობს მოსწავლის თვითგამოხატვის,სოციო-ემოციური უნარების განვითარებას.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების გასიტყვების პროცესში რამდენად მნიშნელოვანი იყო მათთვის მოსწვალის უკუკავშირი დავალებაზე მუშაობის თვალსაზრისით, რომლის საფუძველზეც გამოჰქონდათ გარკვეული დასკვნები ,თუ რა გაუჭირდა მოსწვალეს და რა იყო მათი მხრიდან დაძლეული. ამ ინდიკატორში დასტურდება შესაბამისობა სტანდარტთან

2.მათემატიკა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში კომპლექსურ დავალებებს ან თემების შესწავლისას დავალებებს არჩევენ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, კურიკულუმზე და თემატურ მატრიცებზე მუშაობისას სწორედ ესაა მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

2.უცხო ენებიწარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ,რომ უცხო ენებში მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებშიამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან **შესაბამისობა**- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

დასტურდება სტანდარტის ინდიკატორთან შესაბამისობა.

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის ფილოსოფიიის მიხედვით, მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარება არის პრიორიტეტი. კონსტრუქრივისტული სწავლების პრინციპების დანერგვა განიხილება ამ პრორიტეტებთან მიმართებაში.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასურველია, სასწავლო პროცესში ისე დაიგეგმოს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

2.ესთეტიკური აღზრდა

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე სკოლა მოსწალეებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებასხელოვნებისა და მუსიკის წრეების სახით, ახორციელებს სოციალურ პროექტებს(,მტკიცებულება-სკოლის გვერზე წარმოდგენილი პროექტები) რაც ხელს უწყობსმოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

2.სპორტი

სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2.სტანდარტთან შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტრურებს რომ

ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის.

3.მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების, როგორც პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, ამოცანები. მტკიცებულებებში წარმოდგენილი მატემატიკაში განმავითარებელი შეფასების ნიმუში ადასტურებს, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები მოსწავლის შეფასების მნიშვნელობასა და ამოცანებზე;

3.უცხო ენები

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტრურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება, ზეპირი და/ან წერილობითი უკუკავშირი. შეფასება ატარებს

ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში საუბარია სკოლის მისიის შესახებ, რაც გულისხმობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპი შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

3.საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები მოქალაქეობისა და ისტორიის საგანებში, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. სკოლა ასევე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად.

3.ესთეტიკური აღზრდა

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში,ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა განმავითარებელი კომენტარებით,ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

3.სპორტი

ინტრვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზესამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და, მათ შორის, მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით.

ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტიკიცებულ ვარიანტში გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება სანდო და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა

სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება მდგრადი და რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

4.მათემატიკა

თვითშეფასებაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ ახალი სასწავლო წლიდან შეფასების სანდოობის გასაზრდელად გეგმავს ახალი ინსტრუმენტების დანერგვას. სკოლას აქვს საკმაოდ საინტერესო მოქმედი შეფასების ინსტრუმენტები და შეფასეია ანალიზის გარკვეული გამოცდილება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას სეფასების სისტემის სანდოობის გასაზრდელად ტანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით. მნიშვნელოვანია სკოლამ გააგრძელოს ინტენსიური

საქმიანობა ამ მიმარტულებიტ და სრულყოს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის შემოწმების მექანიზმები.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს,რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. თუმცა იგეგმება შეფასების მეორე მოდელზე გადასვლა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია , როგორ ხდება კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებასაც გეგმავს კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება მდგრადი და რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს.

ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწვალეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

4.ესთეტიკური აღზრდა

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა

როგორც პედაგოგებმ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ

დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, უმაღლეს განათლებაში, სამუშაო ადგილზე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელბსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

5.მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

5.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

5.ესთეტიკური სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტთან შესაბამისია

6.სახელმწიფო ენა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.მათემატიკა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.ესთეტიკური აღზრდა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

6.სპორტი

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორი 2.2.2.6.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დანართი N102 ინდივიდუალური გეგმა

დანართი N106 ინტერვენციის გეგმა

დანართი N111 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

დანართი N114 საგნობრივი ოქმები

დანართი N116 სასწავლო პროექტები

დანართი N117 შესრულებული კომპლექსური დავალება

დანართი N118 კათედრის სხდომის ოქმი

დანართი N119 განმავიტარებელი შეფასება

დანართი N 129 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

დანართი N 145 საშუალო საფეხურის კურიკულ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით,ისე ვიზიტის დროს გარემოს დათვალიერებით.სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა,რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. პოზიტიურ გარემოში ხდება უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება.სკოლის ბიბლიოთეკა და სკოლის ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.სკოლის მისიაში გაწერლია მოსწავლის აკადემიური შეფასების წესი,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის განვითარები გზა. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის

ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.**ინდიკატორი 2.2.3.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა,განხორციელებული პროექტები,რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. კათედრის წევრების ფართო ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება და საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად სკოლა კონკტერული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას..კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული რესურსი ზოგადად და არ იყო მითითებული შესაბამისი ბმულები თუმცა პრობლემა მოგვარდა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე. ქიმიის პედაგოგებმა წარმოადგინეს კურიკულუმის რედაქტირებული ვერსია.**ინდიკატორი 2.2.3.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას,რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით,თუ პროექტებით.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს.ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022-

2023 სასწავლო წლის გაანალიზება და შედეგების სფუძველზე პროექტის რევიზია.**ინდიკატორი 2.2.3.3.სტანდარტთან შესაბამისია**

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში.კერძოდ შეფასების სისტემა,როგორც განმავითარებელი,ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად,ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.სკოლას შემუშავებულია აქვს ადაპტაციის წესი,რომლის საპედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სწავლა სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. დირექციის მიერ კარგად არის აწყობილი დელეგირების პროცესი რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლაში ხშირია ერთობლივი ღონისძიებები / პროექტები, გუნდური მუშაობის პრინციპი და ღიაობა ერთ-ერთი დასაფასებელი კრიტერიუმია. სკოლა განაგრძობს აქცენტირებას პოზიტიური სასწავლო კლიმატის გასავითარებლად, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვკვლავა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებიში მიკუთცვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირების ნაწილში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში **ინდიკატორი 2.2.3.4.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართი N 102 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დანართი N117 კურიკულუმი
დანართი N124 მატრიცა
დანართი N142 ინტეგრირებული გაკვეთილი
დანართი N 143 თვითმმართველობის ოქმი
დანართი N 153 ქიმიის განახლებული კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდლოგია, 2023 – 2024 სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სრულად ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი. ამ ეტაპზე სკოლაში კომპლექსური დავალებების შერჩევა, კოორდინირებულად მიმდინარეობს პარალელურ კლასში. მოსწავლეთა შედეგებს ერთობლივად განიხილავენ საგნის მასწავლებლები, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა დაფუძნებულია მხარდაჭერის პრინციპებზე. აღნიშნული ჯგუფი ესწრება კათედრის წევრებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს. ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. სკოლა გეგმავს კითხვარის მომზადებას პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და კითხვარის საფუძველზე ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად SWOT ანალიზის მეთოდის გამოყენებას, რის შემდგომაც სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს შესაბამის ცვლილებებს.**ინდიკატორი 2.3.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა,ამ პროცესის შედეგად შედეგად მათ ეძლევათ არგუმენტირებული უკუკავშირი. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი უკუკავშირის გაცემის შემდგომ გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აფასებს, თუ რამდენად გაითვალისწინა პედაგოგმა რეკომენდაციები.შესაბამისად, სწორად გაცემული რეკომენდაციები, ასევე მიმღებლობა მასწავლებლების მხრიდან, განვითრების კარგი საშუალებაა.მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას , მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. როგორც გასაუბრების შედეგად გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება, რომლისთვისაც სკოლის დონეზე მზადდება

სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. საიაგნოსტიკო შეფასებები ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (დეკემბერი, მაისი).**ინდიკატორი 2.3.1.2.სტანდარტთან შესაბამისია**

3. სასწავლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად , რომელსაც ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და გასავითარებელ მხარეებს, ასევე კათედრებზე ურთიერთანამშრომლობის შედეგად მასწავლებებლი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტიანობაზე , სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

ინდიკატორი 2.3.1.3.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 127 ხარისხის განვითარების ჯგუფის უკუკავშირი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლთა მუდმივ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, შეფასების დიზაინის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ხედვა. **ინდიკატორი 2.3.2.1.სტანდარტთან შესაბამისია**
2. შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა უკუკავშირების გათვალისწინებით, კომპლესური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით,ასევე სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას., რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. როგორც პირადი შეხვედრებიდან გამოიკვეთა მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე.**ინდიკატორი 2.3.2.2.სტანდარტთან შესაბამისია**
3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს,რაოდენობრივი კველევის მეთოდების საშუალებით, ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - ჩაღმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება,

ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას დაინერგოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა. **ინდიკატორი 2.3.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**
4.როგორც სასოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,ამ ეტაპზე სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე.**ინდიკატორი 2.3.2.3.სტანდარტთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 144 თვითშეფასების რუბრიკა

დანართი N128განმავითარებელი შეფასება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მეთოდოლოგიის საფუძველზე დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი,რომლის მიზანია კურიკულუმის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ,წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გამოვლენილი პრობლემის თუ წარმატების გაანალიზრბის შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი,რომლის საფუძველზე მოხდება სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება და განვითარება საგნობრივი კათედრების ფრაგლებში.**ინდიკატორი 2.4.1.1.სტანდარტთან შესაბამისია**

2..როგორც საგნობრივი ექსპერტებთან. კათედრის წევრების გასაუბრების დროს და 2023-2024 სასკოლო გეგმის პროექტის გაცნობისას გამოვლინდა სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: დაგეგმე,განახორციელე,შეაფასე და გადასინჯე. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე.

მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას,ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.
შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმისა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად,საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის გადასინჯვისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.1.სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 1 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

153 დანართი წარმოდგენილია 4 დაზიპული ფაილის სახით (4 სტანდარტად)



8.08.2023

თარიღი